მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური ‡ თბილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცენტრ. ალმასკომის ორგანო

რედაქცია თბილისი, რუსთაველის პრ. № 24, მეორე სართული

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76, მდივნის 10—58, ადმინისტრაციის ტელეფ. 3—43, სტამბის ტელ. 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი, რუსთაველის პრ., 24; მეორე სართული, ტელეფონი № 10—49

ფასი: მუშა-მოსამსახ. 90 კაპ., დაწარჩენებისათვის—1 მ. და 20 კ. ხელისმომწერნი მიიღებენ ყოველ „დრონაზ“ და „ეკონომიკურ ცხოვრებაზე“. განცხადებები: ნონპარელის სტრიქ.—40 კ., ტექსტში ორჯერ მეტი. სამკლოვიანი —10—15—20 მან. დოკუმენტების დაბარება—1 მ., განცხადებების მიღება 3 ს-დე.

ДЕЛО ПЕЧАТИ ГРУЗИНСКОЙ ССР

ДЕВЯНОСТО ПЯТЫЙ НОМЕР ИЗДАЕТСЯ С 8 ДЕКАБРЯ

ДЕВЯНОСТО ПЯТЫЙ

— გადადგა გერმანიის თავრობა;—ბატონ ბაბიჯანის შედგენა ისევ ლიუტერს მიენდო.
— ფრანგები კვლავ ემზადებიან დამუსრულებლად ებრაელების ლაშქრობისათვის.
— ამსტერდამის ინტერნაციონალია განიხილა პროფშოკრატიის მთლიანი ფრონტის შექმნის საკითხი.
— საფრანგეთის სენატმა მიიღო არიანის კაბინეტის ფინანსური პროგრამა.
— გერმანიაში ძლიერდება საგრეხველო კრიზისი.

სამშაბათი, 8 დეკემბერი 1925 წ. — ყოველდღიური გაზეთი — ფასი 5 კაპ. № 282 (1437)

მთლიანობა მაინც იქნება მიღწეული

ამას წინედ ჩვენ აღენიშნეთ ის გაფიცრებული კამპანია, რომელსაც აწარმოებდენ ამსტერდამის გაერთიანების მემარჯვენე ლიდერები, კერძოდ უდეგესტი საბჭოთა პროფკავშირებისა და აგრედვე პერსელის წინააღმდეგ. ეს იყო წინასწარი მომზადება მსოფლიო პროფმოძრაობის მომხრეებისათვის გადამწყვეტ ბრძოლის გასამართავად ამსტერდამის ინტერნაციონალის საპაროს ლონდონის სესიაზე, რომელზედაც უნდა გარჩეულიყო საბჭოთა პროფკავშირებთან დამოკიდებულების საკითხი.

დღეს მკითხველი გაეცნობა სესიის რეზოლიუციას. სესიამ 14 ხმით 7-ის წინააღმდეგ დაადასტურა ამსტერდამის გაერთიანების აღმასკომის თებერვლის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით „პროფკავშირების საერთაშორისო გაერთიანება, (ამსტერდამის ინტერნაციონალი) ითანხმებს მიიღოს საბჭოთა პროფკავშირები, როცა უკანასკნელნი ამ მხრივ გარკვეულ სურვილს გამოსთქვამენ. საერთაშორისო გაერთიანება აგრეთვე თანახმაა რაც შეიძლება უახლოეს დროში მოიწვიოს ამსტერდამში კონფერენცია საბჭოთა პროფკავშირების ცენტრალურ საბჭოსთან ერთად, აზრთა გაცვლა-გამოცვლისათვის, მას შემდეგ, როცა საბჭოთა პროფკავშირების „ცენტრალური საბჭო გამოსთქვამს სურვილს მიღებულ იქნას საერთაშორისო გაერთიანებაში“.

ამგვარად, უდეგესტებმა ერთხელ კიდევ მოახერხეს პროფმოძრაობის მთლიანობის აღდგენის შეფერხება. მათი გამარჯვება ამ შემთხვევაში სავსებით მოსალოდნელი იყო,—ჩვენ ამას კიდევ გარკვევით ვამბობდით,—რამდენადაც ამსტერდამის გაერთიანების აღმასრულებელ ორგანოში უმრავლესობას ჯერ კიდევ ბურჟუაზიის აგენტები, მუშათა კლასის მოღალატენი შეადგენენ.

რას ნიშნავს ამსტერდამის აღმასკომის მოყვანილი რეზოლიუციაზ? იქ ლაპარაკია შემთანხმებელ პროფინტერნაციონალის „თანმშობაზე“ „მიიღოს“ თავის წრეში საბჭოთა პროფკავშირები. ნამდვილად კი საქმე ეხება არა „შესვლას“, არამედ საერთაშორისო პროფორგანიზაციების (ამსტერდამის გაერთიანების, პროფინტერნის და ორივე მათ გარეშე მყოფ ორგანიზაციების) წარმომადგენელთა კონფერენციის მოწვევას, ყოველგვარი წინასწარი პირობების გარეშე; ამ კონფერენციამ თვითონ უნდა გადაწყვიტოს მათი გაერთიანების და ამ ტოს მათი გაერთიანების ამოცანების საკითხი.

ამსტერდამის მემარჯვენე ხელმძღვანელებს გაგონებაც არ სურთ პროფინტერნზე, ხოლო საბჭოთა პროფკავშირების მიდგომაზე ლიდსულოვნურად თანხმობას აცხადებენ, მაგრამ ერთი ძირითადი პირობით: თუ ჩვენ სავსებით დაეთმორჩილებით ამსტერდამის ინტერნაციონალის წესებებს. ხოლო ჩვენ ვიცით, თუ რა აზრს შეიცავს ეს წესებები. ამსტერდამის ინტერნაციონალის ხელმძღვანელნი ამ მხრივ ითანხმებენ საბჭოთა პროფკავშირების „ცენტრალური საბჭოს“ ერთ-ერთ ადგილზე, ეს ადგილი ასეთია: „ცენტრალური საბჭო ეცადოს ამ ბრძოლას ის აწარმოებს ევროპის მუშათა კლასის, საერთოდ ეგრედ წოდებული დემოკრატიის თანაგრძნობაზე და დახმარებაზე დაყრდნობით.

საქართველოში მოიპო

საბჭოთა პროფკავშირების საკითხი ამსტერდამის ინტერნაციონალში

საბჭოს სესიამ მიიღო სტენგეისის რეზოლიუცია

რეზოლიუციის წინააღმდეგ ხმა მისცეს პერსელმა, ხიგსმა, ბრაუნმა და ფიშენმა

უდეგესტის გალაშქრება ინგლისის მუშების წინააღმდეგ

„ამსტერდამის ინტერნაციონალის წესდება არ შეიძლება შეიცვალოს“

„გადაწყვეტილებას შედეგად მოჰყვება პროფმოძრაობის შესუსტება“

სესიის გახსნა

ამსტერდამი, 6 დეკემბ. 5 დეკემბერს ამსტერდამში გაიხსნა პროფკავშირთა საერთაშორისო გაერთიანების (ამსტერდამის ინტერნაციონალის) გენერალური საბჭოს სესია.

ოფიციალური მოხსენებების შემდეგ საბჭო გადავიდა, ეგრედწოდებულ, რუსეთის საკითხის განხილვაზე.

მემარჯვენეების კამპანია

საბჭოს მემარჯვენე წევრებმა გაანალიზეს ძველი თაედასხმები საბჭოთა პროფკავშირების წინააღმდეგ. საფრანგეთის პროფმოძრაობის ბელადმა, გენერალურ საბჭოს თავმჯდომარის ერთ-ერთმა მოადგილემ ჟუმმ სთქვა:

„რუსებთან ლაპარაკზე ჩვენ თანახმა ვართ, კონფერენციაზე მათთან შეხვედრაზე კი ჩვენ არასოდეს არ დავთანხმდებით“.

ინგლისის დელეგაციის განცხადება

სესიის დღის სხდომის წინ ინგლისის დელეგაციის წევრმა ხიკსმა შემდეგი რეზოლიუცია შეიტანა:

„საერთაშორისო პროფკავშირთა გაერთიანების გენერალური საბჭო სურვილს გამოსთქვამს შეხვდეს რუსეთის პროფესიონალური კავშირების ცენტრალურ საბჭოს რუსეთის პროფმოძრაობის შეერთების შესაძლებლობის განსახილველათ“.

შემდეგ ხიკსმა დასაბუთებული პასუხი მისცა საბჭოს გენერალურ მდივანს **უდეგესტს** ყველა მის მოსაზრებებზე.

ხიკსი შეჩერდა იმ მტკიცებებზე თითქოს საბჭოთა კავშირის პროფმოძრაობაში პოლიტიკა სჭარბობდეს და აღნიშნა, რომ პროლეტარიატის პოლიტიკური და პროფესიონალური მოძრაობა ყველა ქვეყნებში შეიროთ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული.

„თუ, განაგრძობდა ხიკსი, როგორც განაცხადა უდეგესტმა, 1920 წ. რუსებს იწვევდენ ამსტერდამში მოსალაპარაკებლათ და ამათ უარი განაცხადეს, ეს აიხსნება მაშინდელი დროის განსაკუთრებული პირობებით, რისთვის არ უნდა პროვეწვოთ ისინი 1925 წელში“?

დაბოლოს ხიკსმა სთქვა:

„გაერთიანების საკითხის განხილვაზე თქვენ უარს ვერ იტყვით თქვენ არ შეგიძლიათ გვერდი აუხვიოთ რუსეთის პროფმოძრაობას. წარმოებელთა შემოტევის წინაშე, რომლებსაც ეხმარება რეაქციონური მთავრობა, აუცილებელია ყველგვარი ზომები ვიხმაროთ, რომ გავაძლიეროთ საერთაშორისო პროფმოძრაობა“.

ფიმენმა მხარი დაუჭირა ხიკსს.

ბრაუნის განცხადება

ინგლისის დელეგაციის წევრმა ბროუნმა, გენერალურ საბჭოს ერთ-ერთმა მდივანმა, შემდეგი რეზოლიუცია შეიტანა:

„გენერალური საბჭო აცხადებს, რომ საერთაშორისო გაერთიანება იმ პირობებში, რომელიც ჩამოთვლილია ვენის კონგრესის რეზოლიუციაში... (გამოტოვებულია)“

ამავე დროს ბროუნმა ეჭვი შეიტანა იმაში, რომ მის მიერ წარმოდგენილი რეზოლიუცია წარმოადგენს საკავშირო პროფსაბჭოსათვის მასალებ კომპრომისს (ამსტერდამის ინტერნაციონალის ვენის კონგრესმა, რომელიც მუშაობდა 1925 წ. 2—5 ივნისს, გამოიტანა რეზოლიუციაა, რომელიც ალმასკომს წინადადება ეძლეოდა „განაგრძოს მოლაპარაკება იმდენათე, რამდენად ეს შესაძლებელია პროფკავშირთა საერთაშორისო მოძრაობის ღირსებისათვის“.

ხოჯესის განმარტება

ინგლისის დელეგაციის წევრმა **ხოჯესმა** (სამთო-მადნო მუშაკთა ინტერნაციონალის მდივანია) მხარი დაუჭირა ბროუნის წინადადებას და დაუმატა:

„ევროპაში გავრცელებულია ხმები, რომ ინგლისელები მოეკვეტ რუსების ზეგავლენის ქვეშ. ხიგსის რეზოლიუცია რომ იქნას მიღებული—მაშინ ეს ხმები გამართლდებოდა. შემდეგ **ხოჯესმა** აღნიშნა, რომ ამსტერდამის ინტერნაციონალი მიეალმება როგორც საბჭოთა კავშირის, ისე შეერთებულ შტატების პროფკავშირების შემადერთებას, თუ ეს უკანასკნელნი მიიღებენ ამსტერდამის წესდებას. მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი შეეცდებიან ამ წესდების შეცვლას თავისი შეხედულობის მიხედვით.

ბოლოს ხოჯესმა განაცხადა: „ამერიკის პროფკავშირების შესვლას ამსტერდამში ექნებოდა დიდი მნიშვნელობა, რადგან ამერიკას განკუთარებულ მრეწველობის გამო აქვს დიდი გავლენა საერთაშორისო ეკონომიკაზე. ამის გამო ამერიკის პროფკავშირების შემოერთებას ექნება უფრო მეტი მნიშვნელობა, ვიდრე რუსების მიერ ამსტერდამის ინტერნაციონალის წესდების მიღებას.

რეზოლიუცია

სტენგეისმა შეიტანა შემდეგი რეზოლიუცია.

„პროფკავშირთა საერთაშორისო გაერთიანების გენერალურმა საბჭომ, განიხილა რა საერთანადო მიწერ-მოწერა — წინადადებას აძლევს ალმასკომს შეატყობინოს საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს, რომ პროფკავშირთა საერთაშორისო გაერთიანება (ამსტერდამის ინტერნაციონალი) თანახმაა მიიღოს საკავშირო ცენტრალური პროფსაბჭო, როგორც კი ეს უკანასკნელი განაცხადებს ამის სურვილს. აზრთა გაცვლა-გამოცვლისათვის საერთაშორისო გაერთიანება მზადაა ამსტერდამში საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად მოიწვიოს კონფერენცია მას შემდეგ, როდესაც საკავშირო პროფსაბჭო მოისურვებს საერთაშორისო გაერთიანებაში შესვლას.

სტენგეისის რეზოლიუციაა მიღებული იქნა 14-ის უმრავლესობით 7 წინააღმდეგ. ხმა მისცეს ალმასკომის თავმჯდომარემ პერსელმა, ხიგსმა და ბროუნმა (ინგლისი) იაკობსონმა, (სკანდინავია) ფიმენმა, (ტრანსპორტზე მომუშავეთა ინტერნაციონალის გენერალური მდივანი) ხოჯესმა და სმიტმა.

სტენგეისის რეზოლიუციის ტექსტი კერძოთ იქნა გავრცელებული მონაწილეთა შორის მის მიღებამდე 12 საათით ადრე.

უდეგესტის „განმარტებები“.

ამსტერდამი, 6 დეკ. ამსტერდამის ინტერნაციონალის საბჭოს მიერ სტენგეისის რეზოლიუციის მიღების შემდეგ საბჭოთა პროფკავშირებისადმი დამოკიდებულობის შესახებ, **უდეგესტმა** ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა:

„თუ ის გადაწყვეტილება, რომელიც გენერალურმა საბჭომ მიიღო, ვინმეს წინააღმდეგ არის მიმართული, არა ინგლისელების წინააღმდეგ, **არამედ რუსების წინააღმდეგ**, რომელთაც არ სურთ ჩვენი წესდების მიღება“.

გენერალურ საბჭოს გადაწყვეტილება, უდეგესტის სიტყვით, აგრეთვე მოწმობს იმას, რომ „ამსტერდამის ინტერნაციონალის წესდება არ შეიძლება შეცვლილ იქნას იმიტომ, რომ ერთ-ერთმა ქვეყანამ უცბათ შესცვალა თავისი თვალსაზრისი, როგორც ეს იყო სკარბოროში“ (აქ სახეში აქვს ინგლისის პროფკავშირების კონგრესის გადაწყვეტილება მიმდინარე წლის სექტემბერში).

უდეგესტმა დაუმატა, რომ პროფკავშირების საერთაშორისო კონფერენციის, თუ ის მოწვეული იქნება, განსაკუთებით შემდგარი იქნება საბჭოთა პროფკავშირებისა და სხვადასხვა ქვეყნების შემარცხენე უმცირესობის მოძრაობის წარმომადგენლებისგან. უდეგესტის აზრით ინგლისელებმა საეჭვოა, რომ მოიწვიონ ასეთი კონფერენცია.

შეკითხვაზე, თუ როგორ უყურებს ის ამერიკის შრომის კონფედერაციის მტრულ განწყობილებას ამსტერდამის ინტერნაციონალისადმი, რომელიც მას მეტად რევოლიუციონერათ მიაჩნია. უდეგესტმა უპასუხა:

„ჩვენ შორის უთანხმოება ეხება ტაქტიკას, და არა წესდებას“.

აღნიშნა რა, რომ პროფინტერნის წესდებაში არის მუხლი, რომელიც იმისთვისაა დაწერილი რომ ამსტერდამის ინტერნაციონალი დაარღვიოს, უდეგესტმა განაცხადა, თუ ეს პარაგრაფი იქნება უარყოფილი, მაშინ შეიძლება ახალი მდგომარეობა შეიქნესო.

გადაწყვეტილების შედეგათ-პროფმოძრაობა სუსტდება.

ამსტერდამი, 6 დეკემბერი. ინგლისის დელეგაციის ერთ-ერთმა წევრმა, რომელმაც სტენგეისის რეზოლიუციის წინააღმდეგ მისცა ხმა, ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა:

„შესაძლებლობა გვქონდა მოგვარებულიყო დამოკიდებულება რუსეთთან, მოგვემზადებინა ნიადაგი საერთაშორისო პროფმოძრაობიდან ჩაშორებულ ნაწილების დასაბრუნებლათ და ბოლო მოგვეღო მის დაქსაულობისთვის. გადაწყვეტილების შედეგად—პროფმოძრაობა სუსტდება. ჩვენო, განაცხადა მან, კვლავინდებურათ მტკიცეთ ვართ მეგობრობა საერთაშორისო ერთიანობას. მისი განცხადების სიჩქარე და მეოთხი ახლა დამოკიდებულია ინგლისის პროფკავშირების გენერალურ საბჭოსგან“.

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

კონფერენცია განიარაღების შესახებ

პარიზი, 6 დეკემბ. ერთა ლიგის საბჭოს განიარაღების კომიტეტის თავმჯდომარემ ჰოლ ბონკურმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ კომიტეტმა გადასწყვიტა—შეადგინოს საგანგებო კომისია განიარაღების კონფერენციის მოსაწვევათ. ერთა ლიგაში წარმოდგენილ სახელმწიფოების გარდა კომისიაში მოწვეულ იქნებიან გერმანია, შეერთებული შტატები, საბჭოთა კავშირი, პოლონეთი, სამხრეთ-სლავია, რუმინეთი, ფინეთი და ჰოლანდია.

ურთიერთობა ბელგიასთან

პარიზი, 6 დეკემბ. „ტანის“ კორესპონდენტთან საუბრის დროს ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრმა **ვანდერველდემ** განაცხადა, რომ **ბელგიის საქმიანი წრეები მოითხოვენ საბჭოთა კავშირთან საკავშირო ურთიერთობის განვითარებას, რასაც მთავრობამ უკვე საკმაოთ შეუწყო ხელი.**

ფინლანდიის დელეგაცია

ლენინგრადი, 6 დეკემბერი. 5 დეკემბერს ჩამოვიდა 17 კაცისაგან შემდგარი ფინლიანდიის ეკონომიური დელეგაცია შერნვალდის მეთაურობით. რომელიც 1922 წელს მეთაურობდა საბჭოთა კავშირთან საკავშირო ხელშეკრულების დასადებად არჩეულ დელეგაციას.

დელეგაციის შემადგენლობაში შედიან ფინლიანდიის მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგის წარმომადგენლები.

კომინტერნის მოწოდება

იტალიის მშრომელთადმი

მოსკოვი, 6 დეკემბ. კომინტერნის ალმასკომის მოწოდებაში იტალიის მუშებსა და გლეხებისადმი ნათქვამია, რომ პოლიციის მიერ შეთხზული შეთქმულება მუსოლინის წინააღმდეგ არავის სერიოზულად არ მიუღია, ხოლო მუსოლინის მთავრობამ ის გამოიყენა საბაბათ, რათა გაენადგურებია მუშათა ორგანიზაციები და პრესა, ვადაეცა პროფკავშირები და შრომის კამერები ფაშისტურ კორპორაციებისათვის, რომელთაც მუშები ბოიკოტს უცხადებდენ, როგორც ჩაგვრის იარაღს ფაშისტების და კაპიტალისტების ხელში.

ფაშისტები სცდილობენ ეიდევ უფრო გააძლიერონ მუშათა კლასის ექსპლოატაცია და უფრო მეტ გასაჭირში ჩაყაყენონ მუშები, რათა შესძლონ ამერიკელ ბანკირებისათვის სამხედრო ვალის გადახდა.

მათ იარაღი აჰკარეს მუშათა ორგანიზაციებს, რათა წაართვან თავდაცვის შესაძლებლობა და რევოლვერის და მათრახის საშუალებით აიძულონ მუშები შევიდნენ ფაშისტურ სინდიკატებში და ორგანიზაციებში, რომლებიც ემსახურებიან მუშათა ექსპლოატაციის გაძლიერების საქმეს.

მოწოდების დასასრულს ნათქვამია: „მუშებო და გლეხებო! შეამჭიდროთ თქვენი რიგები და მთელი ძალ-ღონით ეცადეთ განაზორცილოთ ერთიანი ფრონტი. შექმენით თქვენი კლასიური ორგანიზაციების დასაცავათ მუშათა და გლეხთა უძლეველი კავშირი. ძირს ფაშიზმი! ძირს მკვლელების მთავრობა! გაუმარჯოს იტალიის მუშათა და გლეხთა ერთიან ფრონტს.

ჰუნგრეთის საგარეო პოლიტიკა

ვენა, 5 დეკემბ. ჰუნგრეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს დროებითმა მმართველმა ვალკომ პალატაში გააკეთა მოხსენება ჰუნგრეთის მთავრობის საგარეო პოლიტიკის შესახებ და განაცხადა, რომ ერთა ლიგა მიუდგომლად არ შეხვდა ჰუნგრეთის ეროვნულ უმცირესობათა საჩივარს. ვალკომ დასძინა, რომ ჰუნგრეთი მაინც უნდა დარჩეს ერთა ლიგაში და ეცადოს შესცვალოს მისი დამოკიდებულება ეროვნულ უმცირესობათა საკითხისადმი.

შეეხო რა შემდეგ ლოკარნოს კონფერენციის შნიშვნელობას, ვალკომ მიუსალმა მის შედეგებს და აღნიშნა, რომ ალმოსავლეთ ევროპის საგარანტიო ხელშეკრულების დადება დღეს შეუძლებელია, ვინაიდან მისი მდგომარეობა ძალიან განსხვავდება დასავლეთ ევროპის მდგომარეობისგან.

მთავრობის წარმომადგენლების სიტყვის შემდეგ გამოვიდენ სოციალ-დემოკრატები, რომლებმაც გააკრიტიკეს ჰუნგრეთის საგარეო პოლიკის ორიენტაცია იტალიაზე.

სოციალ-დემოკრატმა მალაშიმ განაცხადა, რომ რამდენადაც ჰუნგრეთის მთავრობისათვის სულ ერთია, როგორი პოლიტიკური წესწყობილებაც არ უნდა იყოს უცხოეთის სახელმწიფოებში, საბჭოთა კავშირთან დადებულ ხელშეკრულების რატიფიკაციაზე უარის თქმა დაუსაბუთებელია, ვინაიდან საეჭვო ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან გაკილებით მეტ საარგებლობას მოუტანს ჰუნგრეთს, ვიდრე იტალიასთან შეგობრობა.

შემდეგ სოციალ-დემოკრატმა რეტენშტეინმა აღნიშნა, რომ ერთა ლიგაა შეუძლია იმუშაოს უსაყვედურო ფორმით იმ შემთხვევაში, თუ მის შემადგენლობაში შეეკა საბჭოთა კავშირი.

„ახალგაზრდა კომუნისტი“

კომკავშირის ყოველდღიური გაზეთის გამოსვლა ჩვენში უეჭველად დიდი მოვლენაა. მისი საქმიანობა ბევრ ახსნა-განმარტებას არ მოითხოვს.

კომკავშირის ორგანიზაციები ბოლო წლებში რიცხვობრივად მეტად გაიზარდენ ჩვენში. მისი შემადგენლობა 40 ათას უდრის. მათ გარშემო თავს იყრის მრავალი ათასი უპარტიო მუშურ-გლეხური ახალგაზრდობა.

საჭირო ახალგაზრდათა ამ მრავალრიცხოვან არმიაში პოლიტიკურ, კულტურულ და იღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერება. პოლიტიკურ და ტეხნიკურ უცოდინარობის მოსპობა კომკავშირელ მასსაში შორის, მათ მიერ პარტიის დღევანდელი ამოცანების შესისხლხორცება,—აქეთკენ უნდა იქნას მიმართული ჩვენი საქმიანობა.

კომკავშირში უდიდეს პროცენტს გლეხური ახალგაზრდობა წარმოადგენს. სწორი ურთიერთობის დაცვა მუშურ და გლეხურ ნაწილებ შორის კომკავშირში, პროლეტარულ ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა სოფლის ახალგაზრდობაზე,—ესეთია ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კომუნისტური და უპარტიო ახალგაზრდობის ყოფა - ცხოვრების საკითხებს. თუ ამ მხრივ ძველია ეზრდილობა ძველი შეხედულებების, ჩვეულებების და ტრადიციების აღმოფხვრა, ახალგაზრდობაზე ეს არ ითქმის, ყოველ შემთხვევაში გაცილებით უფრო ადვილია ახალი კომფესტიტური ყოფა ცხოვრების ელემენტების შეტანა და განვითარება მასში. უნდა ითქვას, რომ ამ სფეროში მრავალ არაჯანსაღ მოვლენას აქვს ადგილი, რასაც უნდა გამოეცხადოს გადამჭრილი ბრძოლა.

ჩვენი ხალხი კომუნისტური პარტიის მეთაურობით უდიდეს აღმშენებლობითი მუშაობაშია ჩაბმული. კომკავშირი აქტიურად უნდა ჩაებას საბჭოთა და საზოგადოებრივ აღმშენებლობაში. კერძოდ ამისათვის აუცილებელია, პოლიტიკურ მომზადებასთან ერთად, მისი საქმიანი ცოდნა, კულტურა, ენა. სწავლა-ბა ერთ-ერთი ძირითადი ლოზუნგთაგანია კომკავშირისთვის.

ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, მისი სამეურნეო და კულტურულ აღმშენებლობაში კომკავშირმა უნდა შესძლოს არა მარტო თავისი წევრების მოზიდვა, არამედ მთელი მშრომელი ახალგაზრდობისაც. კომკავშირმა უნდა მოახერხოს მთელი უპარტიო მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობის თავის იდეურ-ორგანიზაციულ გავლენის ქვეშ მოქცევა.

ყველა ამ ამოცანების განხორციელებას კომკავშირი მხოლოდ იმ შემთხვევაში შესძლებს წარმატებით, თუ იგი არ იქნება მოკლებული პარტიის მხრით მტკიცე ხელმძღვანელობას. ეს ხელმძღვანელობა, რომელიც დღემდე ალაგ-ალაგ მოისუსტებდა, უნდა იქნას გაძლიერებული.

საქართველოს ლენინურ კომკავშირს ცენტ. კომიტეტის და თბილისის კომიტეტის ყოველდღიური ორგანო „ახალგაზრდა კომუნისტი“, რომელიც დღეიდან იწყებს გამოსვლას, მოწოდებულია უდიდესი როლი შეასრულოს ამ ამოცანების გადაჭრის საქმეში. ბეჭდვითი სიტყვა, კერძოთ გაზეთი, უძლავრესი იარაღია მასსის დასაარაზმავად და ასაზრდელად, მისი პოლიტიკური და კულტურული დონის ასაწევად, მისი საზოგადოებრივი აქტივობის განსავითარებლად. და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ „ახალგაზრდა კომუნისტი“ თავის დანიშნულებას პირნათლად შეასრულებს. ზედმეტია ითქმა, რომ მას საჭირო დახმარება აღმოუჩენენ ამ ამოცანების გადაჭრის საქმეში.

„ახალგაზრდა კომუნისტი“ უნდა გახდეს მრავალრიცხოვან ახალგაზრდა კომუნისტური გვარდიის და მთელი მშრომელი ახალგაზრდობის ახრის ხელმძღვანელი, მისი შემაკავშირებელი და დამრაზმველი. ის უნდა შეიქნეს მასიურ გაზეთად ახალგაზრდობისათვის.

მხურვალე სალამი ჩვენს უმცროს თანამოძმეს—„ახალგაზრდა კომუნისტს“.

მოსკოვის მე-14 პარტკონფერენცია

მოსკოვი, 6 დეკემბერი. 5 დეკემბერს პროფკავშირთა სახლის კოლონიან დარბაზში დიდის ზეიმით გაიხსნა მოსკოვის მე-14 პარტკონფერენცია. კონფერენციაზე, გარდა მრავალრიცხოვანი სტუმრებისა, არის 871 დელეგატი, გადაწყვეტი და 740 სათათბირო ხმით.

კონფერენცია გახსნა რუსეთის კომუნისტური პარტიის მოსკოვის კომიტეტის მდივანმა **უგლანოვმა**, რომელმაც აღნიშნა, რომ გასული წლის განმავლობაში მოსკოვის ორგანიზაცია მიდიოდა ზრდისა და გახსტკეცებას ნიშნის ქვეშ; მან გაიარმავა თავისი კავშირი სოფელ და ქალაქის მშრომელთა ფენებ მასებთან.

საგლეხო სესხის ტირაჟი

პირველი სესხის მე-5 ტირაჟი

სამარკანდი, 6 დეკემბ. დაიწყო 1 საგლეხო სესხის მე-5 ტირაჟი. ტირაჟი გაიხსნა საზეიმო სხდომით, რომელზედაც საგლეხო სესხის მნიშვნელობის შესახებ სიტყვები წარმოსთქვეს სატირაჟო კომისიის წარმომადგენლებმა და უზბეკისტანის მთავრობის წევრებმა.

მეორე სესხის პირველი ტირაჟი

მოსკოვი, 6 დეკემბ. მე-2 საგლეხო სესხის პირველი ტირაჟი დაიწყება 15 დეკემბერს მოსკოვში. ტირაჟში მონაწილეობს მიიღეს სესხის პირველი ხუთი სერია.

ტირაჟის დროს განმარტებული იქნება სახელმწიფო სესხის მნიშვნელობა.

მოჭადრაკეთა შეჯიბრება

მოსკოვი, 6 დეკემბ. 5 დეკემბერს ყურადღების ცენტრში იყო მსოფლიო ჩემპიონის **კაპაბლანკას** და საბჭოთა კავშირის ჩემპიონის **ბოგოლიუბოვის** პარტია. დასვენებამდე პარტია არ დამთავრებულა, მაგრამ მდგომარეობა რამდენიმედ უფრო ცუდი ჰქონდა ბოგოლიუბოვს, რომელსაც აკლდა 2 პაიკი. დასვენებამდის ეამთავრა მხოლოდ ორი პარტია: **გრუნფელდის** და **შპიტალნის** (უშედეგოდ), **ლევენფიშმა** წაგო **ალიუბინთან**.

დასვენების შემდეგ **კაპაბლანკამ** მოუგო **ბოგოლიუბოვს, მარშალმა—რაბინოვიჩს, ალეხინ-ფენევსკიმ—დუნ ხოტიმორსკის, ბოგატირჩუკმა ტორრეს, რომანოვსკიმ—ზუბარიოვს** და **ტარტაკოვერმა—ეიტს. ლასკერს** და **ზემიშის** პარტია უშედეგოდ დამთავრდა.

მე-19-ეტურის შემდეგ ყველაზე წინ მიდის ბოგოლიუბოვი; შემდეგ ლასკერი და კაპაბლანკა.

ბრძოლა რეაქციის წინააღმდეგ აღმოსავლეთში

შანხაიში მუშებმა გამოაცხადეს საერთო გაფიცვა

ჩინეთის ხალხი მოითხოვს პეკინის მთავრობის გადადგომას

ჩან-ძო-ლინმა ჯილდო დანიშნა გო-სუნ-ლინის მოკვლისათვის

ოსმალეთის რეაქციონერების წინააღმდეგ მიღებულია ზომები

მდგომარეობა ჩინეთში

საგანგებო კონფერენცია ზეწყვეტილია

პეკინი, 5 დეკემბ. ჩინეთის მთავრობის გარეშე საქმეთა მინისტრის ჩენ-ეფი ლინის გადაყენების გამო **საგანგებო კონფერენცია დროებით შეწყვეტილია.**

ხალხის მოთხოვნილება

პეკინი, 5 დეკემბ. შანხაის სტუდენტობამ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებმა გაუგზავნეს ფინ-იუი-სიანს დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია, რომ **მთელი ჩინეთის ხალხი მოითხოვს დუან-ცზი-ჟუის მთავრობის ჩამოგდებას, სახალხო რევოლიუციონური კომიტეტის დაარსებას, ეროვნული კრების მოწვევას, უთანასწორო ხელშეკრულებათა გაუქმებას და ქვეყნის დემოკრატიზაციას.**

დეპეშაში გაკვირვებას გამოსთქვამენ იმის გამო, რომ ფინ-იუი-სიანს აქამდის არ გაუკეთებია გარკვეული განცხადება პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ; დეპეშა წინადადებას აძლევს მას დაუყოვნებლივ გამოვიდეს წითელი დეკლარაციით, რომელიც გამოარკვევს მის პოლიტიკურ ხაზს.

ჩან-ძო-ლინის მდგომარეობა

ხარბინი, 5 დეკემ. იაპონიის საგენტო „ცოხო“ იტყობინება: **ვინაიდან მდგომარეობა არახელსაყრელია მარშალ ჩან-ძო-ლინისათვის,** უკანასკნელმა თავისი ავტორიტეტის აღსადგენად, აიძულა მანჯურიის საწარმომადგენლო ორგანოები, პროვინციის პარლამენტები, ქალაქის სამმართველოები და ბედგაგიური საზოგადოებანი კოლექტიურად ეცნობებიათ ბეკინში, რომ ისინი მხარს უჭერენ ჩან-ძო-ლინს და სურთ მისი დატოვება ეხლანდელ ადგილზე.

იაპონელების ძალები

ბეკინი, 5 დეკემ. ცინდაოში მოდიან იაპონიის ახალი გემები. პორტარტურში ფლოტი გაძლიერებულია.

მუშათა ლიდერების დაპატიმრება.

ბეკინი, 5 დეკემბერი. 29 ნოემბრის დემონსტრაციის დროს შანხაიში პოლიციამ დაიპატიმრა მუშების ზოგიერთი ლიდერები და აკრძალა პროკლამაციის გავრცელება.

გაფიცვები და ლოკაუტები.

ბეკინი, 5 **დეკემბერი. შანხაიში მწარმოებელთა მიერ შეთანხმების დარღვევის გამო დაიწყო გაფიცვები.**

ავეჯეულობის მრეწველობის მეპატრონეებმა გამოაცხადეს ლოკაუტი, რომელიც შეეხო 4.000 მუშას.

საომარი მდგომარეობის ლიკვიდაცია

ბეკინი, 5 დეკემბ. კანტონის ჯარების სარდლობის ერთ-ერთ გამოჩენილმა წარმომადგენელმა პრესის წარმომადგენლებთან საუბარში განაცხადა რომ გუაუ დუნის პროვინციაა ამ ჟამად გამოდის საომარი მდგომარეობიდან. აღმოსავლეთის ფრონტი მოისპო და **ჩონ-ჩუნ-მინი გაძევებულ იქნა. ამ ცოტა ხანში მოხდება საზღვრების ფრონტის ლიკვიდაცია.**

ჩან-ძო-ლინის „საჩუქარი“.

ხარბინი, 5 დეკემბ. ჩან-ძო-ლინის ბრძანების თანახმად, ის პირი, რომელიც დაატყვევებს მო-სუნ-ლინს საჩუქრად მიიღებს 80.000 დაიანს (დაიანი—დაახლოებით 30 კაპეიკია); გო-სუნ-ლინის მოკვლისათვის დანიშნულია ჯილდო 50,000 დაიანი, ხოლო მისი მომარაგების ბაზის დაწვაში—40.000 დაიანი.

იმავე ბრძანების თანახმად მოწინააღმდეგე არმიელების ჯარის კაცები, რომელნიც ტყვედ არ ბარდებიან—დახვრეტილ უნდა იქნენ.

ჩეხო-სლოვაკიის პარლამენტის შემადგენლობა

პრაგა, 7 დეკემბერი. პარლამენტის პარტიულ ძალების განწყობილება შემდეგნაირია:

ჩეხელი მემამულეები	45 წინად	ყავდათ 42
კომუნისტები	42 „	„ 27
ჩეხიის სახალხო პარტია	31 „	„ 21
ჩეხიის სოციალ-დემოკრატები	29 „	„ 52
ჩეხიის ნაციონალ-სოციალისტები	28 „	„ 27
სოფლის მეურნეთა კავშირი	24 „	„ 13
სლოვაკიის სახალხო პარტია	23 „	„ 11
გერმანელი სოციალ-დემოკრატები	18 „	„ 29
ჩეხო-სლოვაკიის ნაც.-დემოკრატები	18 „	„ 22
გერმ. ქრისტიანულ-სოციალ. პარტია	12 „	„ 9
გერმ. ნაციონალ. პარტია	10 „	„ 10
გერმ. ნაც.-სოციალისტები	6 „	„ 5

მთავრობის პარტიებმა მიიღეს სულ 3,185,801 ხმა (1920 წელში მათ მიიღეს 4.024.284). **ოპოზიციის** პარტიებმა მიიღეს 3.920.487 (1920 წელში მიიღეს 2.175.722 ხმა).

მთავრობის პარტიებს ყავდათ ძველ პარლამენტში ყველა დეპუტატების 64,9 პროცენტი, ახლა ჰყავთ მხოლოდ 44,88 პროც.

ოპოზიციას ჰყავდა ძველ პარლამენტში 35,94 პროც. ახლა კი ჰყავს მანდატების 55,17 პროცენტი.

ოსმალეთის რეაქციონერების გამოსვლა

ანგორა, 5 დეკემბერი. მიუხედავათ დამოუკიდებლობის სასამართლოების ენერგიული ზომებისა, რეაქციონური მოძრაობა არ შესწყდა. ერზერუმში რეაქციონერების გამოსვლების დროს, კლერიკალებმა დაიწყეს აქტიური პრობაგანდა მეზობელ ვილაიეტებში. ისინი მოუწოდებენ ხალს დაიცვას შარიათი და იბრძოლოს ქუდების და ევროპიულ ტანსაცმელის ტარების წინააღმდეგ. იმ შემთხვევაში, თუ აგიტაცია წარმატებით წავიდოდა, კლერიკალებს განზრახული ჰქონდათ მართვა-გამგეობის შეცვლა.

ამგვარი მოწოდებები დამზადებული იყო, უმთავრესად, სივაში ქალაქის სამმართველოს წევრთა დახმარებით და თავმჯდომარის მეთაურობით. დამოუკიდებლობის სასამართლომ დაატესაკი მოძრაობის ორგანიზატორები და მიუსაჯა მათ ციხეში დაპატიმრება სხვადასხვა ვადით. ერთ-ერთი მთავარი ხელმძღვანელი-პროგრესიული პარტიის ცნობილი **წევრი სიკვდილით იქნა დასჯილი.**

მარაბში მცხოვრებთა უმრავლესობამ აგრეთვე მოაწყო რეაქციონური სპროტესტო მანიფესტაცია ქუდების სავალდებულო ტარების წინააღმდეგ. მანიფესტანტები გარეკა პოლიციამ. დაპატიმრებულია ბევრი მანიფესტანტი. ასეთივე დემონსტრაციებს ადგილი ჰქონდა რიზეში და სხვაგან. ყველგან კლერიკალები მოუწოდებდენ ხალხს აჯანყებისაკენ უკანასკნელ რეფორმების წინააღმდეგ, სამხედრო სასამართლო განაგრძობს თავის მოღვაწეობას ერზერუმში და მკაცრი განაჩენები გამოაქვს მოძრაობის ორგანიზატორების მიმართ.

მინისტრთა საბჭომ განიხილა შექმნილი მდგომარეობა და გადასწყვიტა მიიღოს საერთო ხასიათის მკაცრი ზომები. ვინაიდან ზოგიერთი ქალაქების სამმართველოებმა და საგაჭრო პალატებმა თავმჯდომარეებმა უარი განაცხადეს ქუდების სავალდებულო ტარებაზე, მთავრობამ დაადგინა ამ პირების დათხოვნა. ყველა ადგილობრივ ხელისუფლებას დაეგზავნა ცირკულიარები, რომელიც წინადადებას აძლევს მათ ხელმძღვანელონ **კანონის დამრღვევი პირები.**

საბჭოთა კავშირი

რუსეთი

კვალიფიციურ მუშათა ზრდის მიზეზდების რეგისტრაცია.

მოსკოვი, 5 დეკ. შრომის კომისარიატმა შეუთანხმა საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს ცირკულიარი, რომელშიაც წინადადებას იძლევა რეგისტრაცია გაუკეთდეს იმ კვალიფიციურ მუშათა შრომის მიზეზდებას, რომლებიც სხვა სპეციალობაზე მუშაობენ და სურთ დაუბრუნდენ საკუთარ სპეციალობას. აღრიცხული უნდა იქნენ მხოლოდ მაღალი კვალიფიკაციის მუშები—ლითონის, საფეიქრო ტყავეულობის, ქიმიურ და პოლიგრაფიულ წარმოებათა დარგებიდან.

ზვიდი საათის სამუშაო დღე ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეებისათვის

მოსკოვი, 5 დეკემბერი. საკავშირო ცკამ აუცილებლად დაინახა 7 საათის სამუშაო დღის დაწესება ფოსტა-ტელეგრაფის თანამშრომელთათვის, მოკავშირე რესპუბლიკების კომისარიათა საბჭოებთან არსებულ ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთა სამმართველოებისათვის და კავშირის ოლქთა სამმართველოთათვის.

ქირიმი

ბაღების დაწვა

სიმფეროპოლი, 5 დეკ. უკანასკნელი ქარიშხალის დროს შავ ზღვაზე ევპატორიასთან დიაღუპა იალქნიანი გემი.

„ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

შავი-ქვის გატანა

ფოთი, 7 დეკ. ნოემბრის თვეში შავი-ქვის წასაღებათ მოვიდა 8 უცხოელი გემი. გავიდა 7 გემი—47,742 ტონას საერთო წყალწყვეთ. 98 პროც. შავი-ქვისა გაზიდულია ამერიკაში.

საზაპთარო რონოდა

ფოთი, 7 დეკ. ქალაქის საცხენო რკინისგზის დეპოში დაამთავრეს ახალი საზამთრო რონოდა, რომელიც გამოშვებული იქნება სამუშაოთ ამ დღეებში.

ფერა- კითხვის უცოდ. ლიკვიდაცია

ფოთი, 7 დეკ. სოფ. ყულევში ფოთიდან 12 ვერსის ნაძმილზე, პოლიტგანათლების მიერ გაიხსნა გლეხთა შორის წერა-კითხვის უცოდინაობის ლიკვიდაციის სკოლა.

წყალსადენი სოფლად

თელავი, 7 დეკემბ. პანკისის ხე

ა.-კ. კომორგანიზაციების მეოთხე კრება

რ. კ. პ. (ბ) ამ.-კავ. საოლქო კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში

ამხ. სერგო ორჯონიკიძის მოხსენება

წინადადება

ამხანაგებო! ამ ცოტა ხნის წინად ჩვენ ვიდღესასწაულეთ ოქტომბრის რევოლიუციის 8 წლის თავი. ამიერ-კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლება ხუთ წელზე მეტია არსებობს. ეს დრო საკმარისია იმისთვის, რომ დავსვათ საკითხი, რა-დენად გამართლდა ოქტომბრის რევოლიუცია საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების მხრივ, რომლის მიზანია ძველი კაპიტალისტური საზოგადოების ახალ, სოციალისტურ საზოგადოებათ გარდაქმნა. რუსეთის პროლეტარიატმა, რომელიც გადაეშვა ბრძოლაში სოციალისტური რევოლიუციისათვის და დაადგა-ოდ ეს დიდი ოქტომბრით, დაუპირდაპირა საბჭოთა რუსეთი მთელს ბურჟუაზიულ მსოფლიოს და გახადა ის საერთაშორისო სოციალისტური რევოლიუციის მედროშეთ.

ამიერ-კავკასია, რომელსაც მაშინ ხელმძღვანელობდენ ნაციონალისტური პარტიები მენშევიკების მეთაურობით, მოსწყდა საბჭოთა რუსეთს. ბ-ნი მენშევიკები, როდესაც ისინი იყენენ კერენსკის, ტერენჩენკოს, მილიუკოვის მთავრობის დროს რუსეთის ბურჟუაზიული მთავრობის აქტიური მონაწილენი და სრულებითაც არ ფიქრობდენ მისგან გ მოყოფას, საბჭოთა რუსეთს დაუყოვნებლივ გამოეთიშენ. რუსეთიდან გამოყოფა ქართველი მენშევიკების ლიდერმა ნოე ჟორდანიამ თავის სიტყვაში 1918 წელს ამიერ-კავკასიის სოც. დემოკრატიული პარტიის მეცხრილობაზე შემდეგნაირად დაასაბუთა: „ჩვენს პარტიას სამართლიანად უწოდებდენ ცენტრალისტურს, ის ასეთიც იყო, რადგან მას სჯეროდა, რომ რუსეთის დემოკრატიულ საბჭოდ გარდაქმნა შეიძლება მხოლოდ ცენტრიდან გამოსულ დემოკრატიის საშუალებათ. ჩვენ ყოველთვის ამ მიმართულებით ვმუშაობდით და მხოლოდ ოქტომბრის გადატრიალებამ დაგვანახვა ჩვენი პარტიის ტაქტიკის შეცვლის აუცილებლობა. ჰოდა რევოლიუციი, რომელმაც დემოკრატიის წინაშე გადალახა ახალი ჰორიზონტი და შესაძლებლობანი. მაგრამ როდესაც წამოიჭრა საკითხი როგორ უნდა აშენდეს ძველის ნანგრევებზე ახალი ნაგებობა, ჩვენთვის აშკარა გახდა, რომ ეს მშენებლობა ადგილებზე უნდა დაწყებულიყო. ოქტომბრის გადატრიალებამ დაამტკიცა, რომ ცენტრში არ არსებობს ის ძალა, რომელსაც შეუძლია დემოკრატიული წესწყობილების დამყარება. და როდესაც ჩვენ ამაში ნათლად დავრწმუნდით ჩვენ გადავსწყვიტეთ გავაკეთოთ ამიერ-კავკასიის ფარგლებში ის, რის გაკეთებაც ცენტრში არ მოხერხდა. ამ გვარად ჩვენ გადავედით ადგილობრივი ძალაუფლების მოწყობაზე, რათა ცენტრზე გავლენის მოხდენით, შეექმნათ მთელიანი დემოკრატიული რუსეთი". და შემდეგ, „ჩვენ არასოდეს არ გავყვებით მ თ, ვინც გახრწნა და დანგრია რუსეთი".

ასეთსავე სიტყვებს წარმოსთქვამდენ თავის დროზე ბ-ნი წერეთელი და ჩაენკელი, გამოდიოდენ რა, თითქოს ბოლშევიკების მიერ დანგრეულ რუსეთის გაერთიანების თვის.

ეხლა კი ისინი სულ სხვას ლაპარაკობენ. ეხლა ყველაფერი რუსული, ყველაფერი რაც რუსეთის არის თავლება აზიურად, უკულტურობად, ბარბაროსობად, ზონობის სიმბოლოდ და ყველა, ვინც მეგობრულ განწყობილებაშია საბჭოთა რუსეთთან, ითვლება ამიერ-კავკასიის ხალხთა ინტერესების გამყიდველად.

როგორ მოხდა ის, რომ ხალხი, რომელიც ჩვენ გუშინ წყველა-კრულვით გვიხსენებდა მთლიანი რუსეთის დარღვევისათვის და ცდილობდა რუსეთის აღდგენაზე, ეხლა ყველაფერს, რაც გამოდის მუშურ-გლეხური, ბოლშევიკური რუსეთიდან და, თვით საბჭოთა რუსეთს წყველა-კრულვით იხსენებს? რუსეთი რომ დემოკრატიული დარჩენილიყო, რუსეთის მთავრობაში კერენსკის და მილიუკოვის გვერდში წერეთელი რომ მჯდარიყო, მაშინ ამ პატონებისათვის არ დადგებოდა საკითხი რუსეთიდან გამოყოფის შესახებ. გამოყოფის საკითხი წამოიჭრა მხოლოდ ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ, როდესაც სოციალისტური რევოლიუციის გრიგალით დამფრთხალი სოციალიზმის რენეგატები თავშესაფარს ეძებდენ ჯერ პრინც ჭოეგნცოლერნენთან, რომელთა შორის ერთერთის მოწვევასფიქრობდენ საქართველოს მმართველად და აგრეთვე არ ერიდებოდენ, როგორც არ ერიდებიან ეხლაც, ფულების მიღებას გერმანიის საიდუმლო კომიტეტისაგან თავად ვაჩნაძის ხელით, როგორც სწერს ამის შესახებ თავის გაზეთში ვეშაპელი.

ეს ვაეპატონები ჯერ კიდევ იმას გაიძახიან, რომ ჩვენ ამიერ-კავკასია რუსეთის ახალშენათ გიდოვეკიეთ. ჩვენ არასოდეს არ ვმალავდით და არც ვმალავთ, რომ ჩვენი ორიენტაცია სავსებით და შეილანად ოქტომბრის რევოლიუციის რუსეთზეა. მენშევიკების, დაშნაკების და მუსავატელებს ეშინათ მალიუკოვის რუსეთის ორიანტაცია. რუსეთის ბურჟუაზიული მთავრობის დაცემის შემდეგ მათი ორიენტაცია არის დასავლეთ ევროპის იმპერიალიზმზე.

ყველასათვის აშკარა, რომ ამიერ-კავკასიის თავისი საკუთარი ძალებით, გარეგან დახმარების მიუღებლად, არ შეუძლია ფეხზე წამოდგომა არც კულტურულად და არც ეკონომიურად. გარეგან დახმარების მიღება აუცილებელ საკითხად ითვლებოდა ბატონ ნაციონალისტები გვიბრალებენ ჩვენ ამიერ-კავკასიის რუსეთის ახალშენად გადაქცევას, თვითონ კი უპირავთ თვალი დასავლეთის იმპერიალიზმისაკენ და მოელიან მისგან დახმარების მიღებას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ რაიმე დახმარების მიღება შეეძლოთ დასავლეთ ევროპიდან, თუმცა ნაციონალისტური მთავრობების ოთხი წლის არსებობის დროს, იმ მთავრობების რომლებსაც არამც თუ ეშინათ დასავლეთევროპის იმპერიალიზმის ორიენტაცია, არამედ ქუსლებსაც ულოკავენ მას, მათ გროში კაპიკიც არ მიუღიათ, თუ ვნებავთ დაუშვათ, რომ დასავლეთ ევროპის იმპერიალიზმი დახმარებას გაუწევდა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს. განა აშკარა არ არის, რომ ყოველგვარ დახმარებისათვის ეს სამ-ოთხმაგ ტაკვეს გაიძახრობდა ამიერ-კავკასიის? განა ის ნამდვილად არ გადაქცეულა ამიერ-კავკასიის თავის ახალშენად? განა ცოტა მოგვეპოება ამის დამამტკიცებელი მაგალითები? მაგალითები: სირია, ეგვიპტე, მაროკო, ჩინეთი, ინდოეთი და სხვ ვინც აკმაყოფილ ვერ ეგოგო დასავლეთ ევროპის იმპერიალიზმის „განმათავისუფლებელი" როლი მის მიერვე დაჩაგრულ ერების განთავისუფლების საქმეში, ის დარჩება საუდმოთ დალუმენ სულელად.

ჩვენი ორიენტაცია კი ბოლშევიკურ რუსეთზე, არის ორიენტაცია სოციალიზმზე, სოციალიზმა კი ახალშენები არ იცის, სოციალიზმის გამარჯვება მოითხოვს მაღალ კულტურას, სახალხო მეურნეობის სწორმოთ ძალების ჯერ არ ნახულ განვითარებას უალრესად განვითარებულ ტეხნიკის საფუძველზე. ან სოციალიზმი ვიმარჯვებს — და მაშინ ადგილი არა აქვს ჩაგრულ საერთოდ, რასაკვირველია ეროვნულსაც. ან კაპიტალიზმი გაიმარჯვებს — და მაშინ რამოდენიმე თვეული წლის განმავლობაში ბატონობს შავი რეაქცია და ყველა წვრილი ერებისა და მთელი აღმოსავლეთის გაუგონარი ჩაგრა. ამიერ-კავკასიის მშრომელნი რუსეთის პროლეტარიატთან ერთად აწარმოებენ სოციალიზმისათვის ბრძოლას.

ჩვენ შეიძლება გვითხრან: მართალია, სოციალიზმმა არ იცის აგრა, მაგრამ განა თქვენ დაამყარეთ სოციალიზმი, განა არის გარანტია რომ თქვენ გაიმარჯვებთ? და თუ ეს გარანტიები არ არსებობს ემსგავსებით ჩვენს მხარეზე გადმოდის, თუ კი აღმოსავლეთის ყველა დაჩაგრული ერები ჩვენს მხარეზე არიან, თუ მუსავატელი რასულ-ზადე თავის კონსტანტინოპოლის გაზეთში, რომელსაც ჰქვია „შებორკილი კავკასია" იძულებულია აღნიშნოს, რომ ჩინელები იმედს ამყარებენ მხოლოდ და მხოლოდ ბოლშევიზზე და საბჭოთა კავშირზეო და შემდეგ უიმედოთ ლაუბობს იმაზე, რომ ბოლშევიკები მათ ატყუებენ, ბოლშევიკებს არაფერი დაეჯერებათო და სხვ. ყველაფერი ეს იმას მოწმობს, რომ ამ მხრივ ჩვენმა კავშირმა უდიდეს შედეგს მიაღწია.

რა საფუძველზე იქმნება ყველაფერი ეს?

აღორძინების გზაზე დამდგარი ჩვენი სახალხო მეურნეობა გახდა ის ფაქტორი, რომლის დაფარვა არ შეუძლია ჩვენს ყველაზე უფრო შეურიგებელ ეტერს — გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალურ ორგანოს „ფორვერტსს". „ფორვერტსი" 1925 წლ. 8 ნოემბერს სათაურით „ახალი რუსეთი" ფრიც კერზენის ხელ მოწერით სწერს: „რუსეთში არსებობს დიქტატურა. ჩვენ გვეუბნებიან, რომ ეს არის წინად დაჩაგრული კლასების მუშების და გლეხების დიქტატურა. სრულიად უსაფუძვლო იქნებოდა ამ დიქტატურის უარყოფა იმ მოსაზრებით, რომ როგორც ამბობენ, ძოხლი როლების [illegible] ამიტომ, თითქოს, არსებითად არაფერი არ გამოცვლილა. სწორი იქნება აღვნიშნოთ, რომ გამოცვლა ძალიან ბევრი რამ. სახალხო კომისართა მთავრობა ჭრაწნაკა არა რომელიმე ვიწრო კასტის კეთილდღეობაზე, არამედ ფართე მასსების კეთილდღეობაზე ჩვენ ყველგან ვხედებოდთ დასასვენებელ სახლებს ფიზიკური და ინტელიქტუალური შრომის მუშაკებისათვის. ათ მორის ყველაზე კეთილ-ებია — სახლები პეტერბურგის კუნძულებზე რომლებიც ოდესღაც ფლიდრეს ეკუთვნოდენ. ყველგან ვხედებით მუშათა კლუბებს, რომლებიც ნაწილობრივ წაეგვანენ სახალხო სახლებს, ბიბლიოთეკებით, სამკითხველოებით, სალექციო დარბაზებით და თვალსაჩინო ჰიგიენურ მუზეუმებით. ყველგან ხედავთ — მუშათა ბავშვების [illegible] დედაოს დამცველ დაწესებულებებს. ასეთივე დაწესებულებებს შეხვდებით სოფლებში: ერთ სოფელში მე გავეცანი ლოგინსძიებებს, რომლითაც [illegible] ჩთანერგონ ელეხობაში [illegible] ... ობაზე რწმუნებულები, სახელმწიფო მოსამსახურეები და კომუნისტური ახალგაზრდობა, ისეთი ენერგიულობაკაბით ასრულებენ, რომელიც [illegible] ... ხდება მხოლოდ მაშინ, თუ [illegible] ... ელობაში მივიღებთ დროის გამოცვლას და იმ სიხარულს, რომელიც გამოწვეულია დაწყებული „ცარიზმზე" გამარჯვებით. თვით ბოლშევიზმს მოწონაღმდეგენიც კი ამაყად, მიცხადებენ მე, რომ ამ სახელმწიფო მოსამსახურეების მოსყიდვა შეუძლებელია. დანაშაული ისეა საშინელი სასასტიკია. ახალი სახელმწიფო ბენების საუკეთესო დამახასიათებელია ის, რომ მიუხედავად დიქტატურის მთელი სასასტიკისა ამხანაგური განწყობილება ბელადებსა და ხალხს შორის არ არის დავიწყებული.

ამის დამამტკიცებელი საბუთები მე ვნახე წითელი არმიის აღლუმზე და ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის აღსანიშნავ პროცესიებზე

ეხლანდელი რეჟიმის ყოველგვარმა კრიტიკამ აუცილებლად უნდა იცნოს დადებითი ხასიათის ფაქტი მმართველთა ენერგიული და უდაოო სურვილი — იმუშაონ მასსების სასარგებლოდ. და დაბოლოს **რუსეთში ამჟამად უძლიერესი ენერგიათ ს,არმოვს აღმშენებლობა. ჩვენ ვგეგმავთ რუსეთის აღდგენა. ჩვენ შეგვიძლია ზოგი რამ ვისწავლოთ მისგან".**

აი ასე სწერს გაზეთი, რომელიც აკმაყოფილ ყოველგვარ საშინელებას ავრცელებდა ჩვენს შესახებ.

1925—26 წლისათვის ნავარაუდევია მუშების რიცხვის აყვანა 2.300 ათასამდე (სახელმწ. საგეგმო კომისიის ცხობები.)

მიმდინარე წლის ბიუჯეტი 2.875 მილ. იზრდება 4 მილიარდამდე — ე. ი. ეშატება 1 მილიარდი 25 მილ. მანეთი.

როგორც ზემოდ მოყვანილ ციფრებიდან ხედავთ, წინწალა სწარმოებს მთელ ხაზზე. მომავალ წელს საერთოდ ჩვენ მოვახწევთ ომამდის არსებულ მდგომარეობას და ზოგიერთ შემთხვევებში კიდეც წავაცილებთ 1913 წლის ნორმებს.

მაგრამ ჩვენ უნდა დავსვათ კითხვა: ვისთვის მოაქვს სარგებლობა ამ განვითარებას, ვის აძლიერებს ის — სოციალისტურ საქმეს თუ კერძო კაპიტალს? ჩვენ თქვენთან ერთად ვიცით, რომ სახელმწიფოში გვაქვს ახალი ეკონომიური პოლიტიკა, ეს კი ნიშნავს, აგრეთვე კერძო კაპიტალის განვითარების შესაძლებლობის დაშვებასაც. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი გლეხური მეურნეობა დამყარებულია კერძო — კაპიტალისტურ საფუძველზე. ეს ვინ გაძლიერდა და რაოდენად?

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის გამოთვლებით

1 საერთო პროდუქცია მილიონებში ჩერონეცის მანეთით

ელები	სახელმწიფო და კოოპერაცია		კერძო		სულ	
	აბს.	პროც.	აბს.	პროც.	აბს.	პროც.
1923—24	5.562	76,3	1.728	23,7	7.290	100
1924—25	7.550	79,3	1.970	20,7	9.520	100
1925—26	9.186	79,3	2.334	20,3	11.520	100

1924-25 წლის დასაწყისში „სახელმწიფოს ჰქონდა ძირითადი ფონდები სულ ცოტა 11,7 მილიარდი ჩერონეცის მანეთის. კოოპერაციას — 0,5 მილიარდი მანეთი და კერძო, უმთავრესად გლეხურ მეურნეობას 7,5 მილიარდი მან. ამგვარად საწარმოო საშუალებათა განსაზოგადოებრივების სფეროში მიღწეულია საერთო ჯამის 62 პროც. დარჩა 38 პროცენტი, რომლის განსაზოგადოებრივება უნდა მოხდეს კოოპერაციის და განსახელმწიფოებრივების საშუალებით".

როგორც ხედავთ, აქაც არ არის საქმე ცუდათ: ყველა საწარმოო საშუალებათა 62 პროც. ეკუთვნის პროლეტარულ სახელმწიფოს. რასაკვირველია, ეს ჯერ კიდევ სოციალიზმი არ არის, მაგრამ ეს არის ის საძიებელი, რომელზედაც დაყრდნობილი პროლეტარიატი იწყებს ბრძოლას შემდეგი მიღწევებისათვის. საძირკველი კი საკმაოდ მტკიცეა: **სახელმწიფოში არსებულ მატერიალურ საშუალებათა 62 პროცენტი ეკუთვნის მის უდიდებულესობას პროლეტარიატს.**

იგივე ითქმის კერძო კაპიტალის, სახელმწიფოს და კოოპერაციის წარმოებაში მონაწილეობი შესახებ.

	1913 წ.	1923—24 წ.	1924—25 წ.	პროც. 1913 წლებთან შედარებით
აზერბაიჯანი . . .	741.900	759.200	759.900	102,4
საქართველო. . . .	710.800	627 900	659.500	92,8
სამხეთი	239.300	202.100	213.900	89,4
ამიერ-კავკასიის ფედერაცია . .	1.692.000	1.589.200	1.633.300	96,5

ეს ციფრები ამტკიცებენ [illegible] თუ რამდენად „მართალი" არიან ჩვენი მოწინააღმდეგენი, როდესაც ლაპარაკობენ ამიერ-კავკასიის სახალხო მეურნეობის განადგურებაზე. ჩვენ არა თუ მივაღწიეთ თითქმის ომის წინა დროის დონეს, არამედ ბევრ დარგში კიდეც გადავაჭარბეთ მას. რა თქმა უნდა, ეს სრულიადაც არ არის სოციალიზმი; რა თქმა უნდა, თუ ჩვენ ამაზე შევჩერდებოდით, ეს იქნებოდა თითქმის ძველი წესწყობილების შენარჩუნება, იმ წყობილების, როდესაც ამიერ-კავკასია წარმოადგენდა ნედლი მასალის მცირე ბაზას რუსეთის მრეწველობისათვის, რა თქმა უნდა, არ შეიძლება ლაპარაკი იმაზე, ოომ სოციალიზმი შეიძლება აშენებული იქნას ისეთ ლატაკ ქვეყანაში, როგორიცაა ჩვენი ქვეყანა. სავეგოა, რომ საბჭოთა კავშირში მოიპოვებოდეს ისეთი ჩამორჩენილი კუთხე, როგორიცა ვართ ჩვენ. სოციალიზმის დასაყარებლად საჭიროა მსხვილი სამანქანო მრეწველობა, ამიერ-კავკასია კი არის ულარესად ლატაკი ქვეყანა.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜᲝᲑᲐ

რა გვაქვს ჩვენ ამ ჟამად? უპირველეს ყოვლისა ჩვენ გვაქვს ეროვნული მშვიდობიანობა — ეს ძირითადი და უმთავრესი პირობა ჩვენი სახალხო მეურნეობის და კულტურის განვითარებისათვის. ჩვენ, რასაკვირველია თავს არ ვატყუებთო, ამ მხრივ ყველაფერი არ არის გაკეთებული. ჩვენ არ ვმალავთ, რომ ჩვენი წვრილ ბურჟუაზიული ბეგების, თავად-აზნაურული, დაშნაკური და სამოკედელო იბტელიგენცია ეკამდის არაფერს არ თავს არ ანებებენ. ეს ეროვნული ბატონობის ბოლო ციხეა, ეს ციხე ჩვენ ვერ ავიღეთ. ეს ციხე ეროვნული შეღლის საბოლოოდ მოსპობა. ასეთი განწყობილება ჩვენი [illegible] ... ეროვნული [illegible] ... ბოლმე. ... ეროვნული [illegible] ... ...

ორშაბათი, 8 დეკემბერი 1925 წ. № 282 (4497)

ხედება 29,6 მანეთი, აზერბეიჯანში—46,1 მან., და სომხეთში—30 მანეთი. ამ რიგად, როგორც ეს ციფრები გვიჩვენებს, ყველაზე ნაკლები შემოსავალი მოსახლეობის თითო სულზე არის საქართველოში, ყველაზე მეტი აზერბეიჯანში და ცოტა მეტი საქართველოსთან შედარებით—სომხეთში. საბჭოთა კავშირში თითო სულზე მოდის 54 მანეთი, ამიერ-კავკასიის ს.ფ.ს. რესპუბლიკაში—35,6 მანეთი. შემოსავლიანობის მაღალი დონე აზერბეიჯანში და სომხეთში აიხსნება მით, რომ ბაბების მოსავალი იქ უფრო მეტია. ეს სასოფლო მეურნეობის დარგში.

მრეწველობა

ნავთი

ეხლა ავიღოთ ჩვენი მრეწველობა. 1913 წელს ამოღებული იყო 446.100 ათასი ფუთი ნავთი. 1920 წელს—152 მილიონი 200 ათასი, 1925 წ. 289 მილიონი, ანუ ომის წინადროდან ამოღების 62 პროც.

გაბურღულია ძველი წესით—40 პროც., ახალი წესით—60 პროც.

საქაჩავებით ამოღება 1925 წლის განმავლობაში გაიზარდა 8-ჯერ. ერთი ფუთი ნავთის ფასი 24 წლის იანვარში უდრიდა 32,2 კაპიკს, 25 წლის იანვარში—27,4 კაპიკს. მაშასადამე თვითღირებულება შემცირდა. თუ ავიღებთ 100 პროცენტად 24 წელს, 25 წლის იანვარში თვითღირებულება შემცირდა 85 პროცენტამდე.

1 საქონის გაბურღვის ფასი 24 წლის იანვარში უდრიდა 763 მანეთს, 25 წლის იანვარში—561 მანეთს.

1909 წელს გატანილი იყო 36 მილიონი, ხოლო წელს—56 მილიონ ფუთი ნავთის პროდუქტები, ე. ი. 155 პროც. 1909 წელთან შედარებით.

შავი ქვა

1913 წელს შავი ქვა ამოღებული იყო 59 მილიონი ფუთი, 24—25 წელს—26 მილიონი, თუ თქვენ გნებავთ გიოგოთ რამდენი იყო ამოღებული მენშევიკების დროს, მოგახსენებთ: 1918 წელს—1 ნახ. მილიონი, ხოლო 1920 წელს—7 მილიონი.

1913 წელს გატანილი იყო 32 მილიონი, 24—25 წელს—23 მილიონი ანუ 70 პროც.

ქვანახშირი

ქვანახშირი 1913 წელს ამოღებული იყო ტყიბულის მაღაროებში—4 მილიონი 193 ათასი ფუთი, 1924—25 წელს—4 მილიონი 567 ათასი, ანუ 108 პროც.

სპილენძი.

სპილენძის მრეწველობა, სტატისტიკური ცნობების თანახმად, 1917-1924 წლამდე მთელ ამიერ-კავკასიაში უდრიდა 4 ათას ფუთს, ხოლო წელს გაიზარდა 49444 ფუთამდე.

არ შეიძლება, ამხანაგებო, დიდათ დავიკვეხნოთ ამ ციფრებით, მაგრამ თუ შევადარებთ იმას, რაც იყო წინად, დავინახავთ, რომ ჩვენ გადაუსვამთ ნაბიჯი წინ და არა უკან. მრეწველობის რომელი დარგიც არ უნდა ავიღოთ, ყველა დარგში ჩვენ გადასდგამთ დიდი ნაბიჯი.

მარილი.

ნახიჩევანის მარილი 1923 წელს ამოღებული იყო 427.400 ფუთი, წელს—1.467 ათასი—გადიდებულია 245 პროც.

გამგის მრეწველობა.

ყოფილ ტაგიევის ფაბრიკამ, დღეს კი ლენინის სახელობის ფაბრიკამ 1913 წელს დამაზადა 12.960 ათასი მეტრი, ხოლო წელს—12.667 ათასი, ანუ 99 პროც. ომის წინა დროსთან შედარებით. პატარა ფაბრიკებმა ქუთაისში და განჯაში მოგვცეს ნაკლები პროდუქცია.

ტრანსპორტი და ელექტროფიკაცია.

1923 წელს გადაყვანილია 12 მილიონი მგზავრი. წელს კი 14.500 ათასი, გადიდებულია 20 პროც.

გადატანილია ტვირთები 1913 წ. 347.700 ათასი, წელს—228 მილიონი, ე. ი. 64 პროც. ომის წინა დროსთან შედარებით.

გადაქაჩულია ნავთი 1913 წელს 21.100 ათასი, ხოლო წელს კი—26 მილიონი, გადიდებულია 12 პროც.

წელს ხიდების გასაკეთებლად და ასაშენებლად, სადგურების გასაკეთებლად და ასაშენებლათ, სადგურების ლინდგების გასაგრძელებლად, სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციისათვის და თბილისის სახელოსნოების გადასაკეთებლად გადადებულია 5.978.604 მანეთი.

ჯულფა-ალიათის და შავი ზღვის რკინის გზის გასაყვანად გადადებულია 8.500 ათასი მანეთი.

ელექტროფიკაციის დარგში შედარ. ბაც არაფერთან არ შეიძლება. ომამდე არაფერი არ ყოფილა ეკეთებული ამ დარგში. მენშევიკების, დაშაკელების და მუსავატისტების დროს კიდეც ეშინოდათ ელექტრონის სინათლის. (ხმა: არავითარი სინათლე არ ყოფილა). დიახ, არავითარი სინათლე არ ყოფილა (ხიცილი).

ჩვენში, ამხანაგებო, შენდება დიდი სადგურები, რომელთა ძალა საერთოდ უდრის 52 ათას ცხენის ძალას. ამ სადგურებზე დახარჯული იქნება 24 მილიონი მანეთი. ყველა ეს სადგურები, გარდა აქარის წყალისა, ვფიქრობთ, დამთავრებული იქნება მომავალი წლის დამლეგს. ეს არის, ამხანაგებო, ჩვენი საკუთარი მიღწევანი. (ტაში).

სახალხო განათლება

რაც შეეხება მოსწავლეთა რაოდენობას, აქ ჩვენ ვხედავთ შემდეგ სურათს: მენშევიკების, დაშნაკელების და მუსავატისტების დროს ამიერ-კავკასიის ყველა უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობდა 19.9—1920 წ. წ. 5.903 კაცი, ხოლო „ბარბაროს ბოლშევიკების“ დროს, სწავლობს 14.927 კაცი.

ამიერ-კავკასიის მოსწავლეთა საერთო რიცხვი ყველა სასწავლებლებში მეფის დროს უდრიდა 222.750 კაცს, „ბატონ განმანთავისუფლებელთა“ დროს—341.439 კაცს, ჩვენ დროს კი—485.102 კაცს.

მეფის და მენშევიკების დროს მუშაკების ხსენებაც კი არ ყოფილა, ჩვენს დროს კი მუშათა ფაკულტეტებზე სწავლობს 4.890 კაცი.

ასეთია სწავლების საქმის მდგომარეობა ჩვენში მოსწავლეთა რიცხვის მხრივ.

ჩვენმა პარტიამ გამოიჩინა დიდი მზრუნველობა მასწავლებელთა მიმართ. მზრუნველებლი, რომლებიც ორი წლის წინად იღებდნენ ძალიან მცირე ჯამაგირს 15—20 მანეთამდე, ეხლა იღებენ დაახლოვებით 35 მანეთს თვეში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ წელს ჩვენ შეესძლებთ საშუალო ხელფასის 40 მანეთამდე გადიდებას. ჩვენ არ ვლაპარაკობთ, რომ ეს ძალიან დიდი ხელფასია, მაგრამ იმასთან შედარებით, რაც იყო ორი წლის წინად, ეს დიდი ნაბიჯია.

მე, ამხანაგებო, ორიოდე სიტყვა მინდა ვსთქვა ჩვენში სწავლების საქმის დაყენების შესახებ. ჩვენში მოსწავლეები ბევრია, სასწავლებლები კი ცოტა. II საფეხურის სკოლები, ძველ გიმნაზიებთან შედარებით, საკმარისზე მეტია მაგრამ თქმა იმისა, რომ ჩვენ შეესძელით ამ სკოლების ყველაფრით უზრუნველყოფა, სწორი არ არის.

ჩემის აზრით, ჩვენ უნდა მივიღოთ ყოველგვარი ზომები იმისათვის, რათა უზრუნველვყოთ სკოლები ყველაფრით, მაგრამ ჩვენ უნდა მოვსთხოვოთ ჩვენს ამხანაგებს, რომლებიც ამ საქმეს ხელმძღვანელობენ, რათა მათ სკოლები დააყენონ სათანადო სიმაღლეზე. მაგრამ თქმა იმისა, რომ სკოლები ამჟამად სათანადო სიმაღლეზეა, არ შეიძლება. ჩემის აზრით, ჩვენ ძალიან გაგვიტაცა სკოლების რიცხვის გადიდებამ, ეს კი ჩვენ ძალ-ღონეს აღემატება, როგორც პედაგოგიური, ისე მატერიალური მოსაზრებით.

საჭირო იქნება ჩვენი სწავლების საქმის გადასინჯვა. საჭიროა შეეფარდოთ იგი გლეხურ მეურნეობას, მოვაწყოთ საქმე ისე, რათა ახალგაზრდობა სავსებით არ ჩამოშორდეს სოფელს, წინაალმდეგ შემთხვევაში ჩვენ ჩავარდებით მეტად ძნიმე მდგომარეობაში. არ ვიცი, როგორ მიდის საქმე სხვა რესპუბლიკებში, მე ხელთ არა მაქვს ციფრები. მაგრამ მხოლოდ საქართველოში წელს გამოშვებულია დაახლოვებით 8 ათასი ახალგაზრდა. შეესძლებთ თუ არა ყველას მაგ-ცეთ სამუშაო? ვერა. მაგრამ თუ მოხდება სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო გადახრა, მაშინ ზოგიერთების გამოყენება შესაძლებელი იქნება. წინაალმდეგ შემთხვევაში ეს ახალგაზრდები ულუფაშერად დარჩებიან ქუჩებში და ხელში ჩაუვარდებიან საზიზღარ ზოვინისტურად განწყობილ ჩვენს ინტელიგენციას, რომელიც ჩვენს წინაალმდეგ აამხედრებს მათ. მშიერი უმუშევარი დაუჯერებს ყველას, ვინც ილაშქრებს იმათ წინაალმდეგ, რომლებმაც მათ სამუშაო არ მისცეს.

საჭიროა აღინიშნოს კიდევ ერთი მომენტი ჩვენ რამდენიმედ გაგიტაცა ჩვენმა ნაციონალურმა კარჩაკტერლობამ და არ ვიცით ჩვენი მეზობლების ენა. ჩვენმა ბავშვებმა, რომლებიც ათავებენ სკოლას სომხეთში, საქართველოში და აზერბეიჯანში, სრულიად არ იციან რუსული ენა. ისინი ვერ შესძლებენ ლაპარაკს რუსთან, სომეხთან, აზერბაიჯანელთან და ქართველთან, ვინაიდან არ ეცოდინებათ ის ენა, რომლის საშალებით ჩვენ ერთმანეთს გაუზიარებთ აზრებს, ამავე დროს უნდა ვიცოდეთ, რომ აორე თუ გვიან ჩვენმა ინტელიგენციამ უნდა ეძებოს საარსებო წყარო ჩვენ მეზობლების ქვეყანაში, სადაც ინტელიგენცია მცირერიცხოვანია. საქართველო და სომხეთი მდიდარია ინტელიგენციით. აზერბეიჯანი სუსტია ამ მხრივ. საქართველოს და სომხეთის ინტელიგენციას შეუძლია იშოვოს სამუშაო მთიულეთშიაც, კასპიის ზღვის �თაც, რუსეთშიაც და ყველგან. ეროვნული კარჩაკეტილობა ამ მხრივ ჩვენ არაფერს არ მოგვიტანს გარდა სიცივისა და სიმშილისა. აი ამიტომ ამ მომენტს, ჩვენს სკოლებში რუსული ენის სწავლებას უნდა მიეცეს სათანადო ყურადღება (ტაში).

რუსული ენა უნდა ისწავლებოდეს არა გერმანული, ან ფრანგული ენის, თანაბრად არამედ როგორც კავშირის, როგორც ოქტომბრის რევოლიუციის ენა (ტაში).

კოოპერაცია

გადავდივარ, ამხანაგებო, კოოპერაციაზე. კოოპერაციის, მიუხედავად იმისა, რომ ყოველ დღე გვიხდება ფიქრი იმაზე, თუ როგორ გამოვიყენოთ იგი კრიტიკულ ფინანსიურ მდგომარეობიდან, მაინც ემჩნევა ერთგვარი წარმატება.

პაების მქონეთა რიცხვი 24 წ. 1 ოქტომბრისათვის უდრიდა 271.122 კაცს, ამ ჟამად კი უდრის—401.599-ს.

კოოპერაცია გაიზარდა წელს 48 პროცენტით. ბრუნვა 9 თვის განმავლობაში: შარშან იგი უდრიდა 40.000.000 მანეთს. წელს კი—82.000.000 მანეთს.

კოოპერატიულად გაერთიანებულთა რაოდენობა: მუშათა კოოპერაციაში 1924 წ. იახვარში უდრიდა 30 პროცენტს, ოქტომბერში—62 პროცენტს. 1925 წ.—74,5 პროცენტს. პროფკავშირის წევრთა რიცხვთან შეფარდებით.

გლეხთა შორის ჩვენ გვაქვს 23,5 პროცენტი, კომლთა რიცხვთან შედარებით, სულ ფედერაციაში—32,1 პროცენტი. საკუთარ საშუალებთა და საპაიო თანხების მხრივ ჩვენი კოოპერაცია ძალიან ღარიბია. ჩვენი კოოპერაციის საკუთარი საშუალებანი შეადგენს 15 პროცენტს, საპაიო—3 პროცენტს, სესხი—84 პროცენტს.

საკუთარ საშუალებათა შეფარდება ბრუნვაში დაბანდებულ საშუალებებთან 24 წ. იანვარში იყო 1:6, 1924 წ. ოქტომბერში—1:33 ნახევარი და 1925 წ. აგვისტოში—1:13 პროცენტი.

რა გაკეთდა მუშებისათვის

ეხლა, ამხანაგებო, მე გადავდივარ მუშებზე, რომლებიც ჩაბმული არიან ჩვენს მრეწველობაში. სულ ამიერ-კავკასიაში მრეწველობაში ჩაბმულია 57.231 კაცი, ამასთან ერთად საქართველოში—8.626 კაცი, სომხეთში—2.133 და აზერბეიჯანში—46.472. ეს, ამხანაგებო, მთელი ჩვენი პროლეტარიატი, ჩვენთვის კი საჭიროა 57.000 პროლეტარი, არამედ 257 ათასი. ეს თუნდაც მახლობელ 5 წლის განმავლობაში.

რაც შეეხება ჩვენი მუშების ხელფასს, საქმე არც ისე ცუდათ არის, როგორც ეს მე მგონია, როცა ჩვენ ამხანაგ კიროვთან ერთად ვიცავდით ნავთის მრეწველობაში ჩაბმულ მუშებისათვის ხელფასის მომატებას. ჩვენ ამბ. კიროვთან ერთად გულმოდგინეთ ვამტკიცებდით და თითქმის კიდეც დავამტკიცეთ, რომ ნავთის მრეწველობაში ჩაბმულ მუშების ხელფასი შადგენს ომის წინა დროის დონის 70 პროცენტს. ეხლა კი ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს თავმჯდომარე ამბ. სემკოვისაგან მიღებულ ციფრების თანახმად,—ამბ. სემკოვმა კი მიიღო ეს ციფრები ბაქოს კომიტეტის შდივნის ამხ. მირზოიანისაგან,—ამ მუშების ხელფასი უდრის 86,8 პროცენტს ეხლა მათ მიიღეს 9 პროც. მომატება და მიმდინარე წლის დასასრულში ეს ხელფასი ომის წინა დროის ხელფასზე მაღალი იქნება.

საფეიქრო მრეწველობაში ჩვენ ქვაქვს 163 პროც., თამბაქოს მრეწველობაში—119 პროც., ეს აზერბეიჯანში, საქართველოში კი, სადაც მრეწველობა ძალიან სუსტია, ხელფასის საქმე შემდეგნაირად მიდის: ლითონის დამშეაგებელ მრეწველობაში იგი უდრის 82 პროც.-ს, თამბაქოს—112 პროც., პოლიგრაფიული—90 პროც. საქართველოს მთელ მრეწველობაში ჩვენ გვაქვს 95 პროც. ომის წინა დროის ხელფასთან შედარებით.

როგორც ხედავთ, ამხანაგებო, მუშათა კლასს არ შეუძლია დაეშდუროს საბჭოთა ხელისუფლებას. იგი მუშათა გულმოდგინეთ, ხელს უწყობს მრეწველობას, მაგრამ შრომის ნაყოფიერების ზრდასთან ერთად იზრდება მისი ხელფასიც.

საგინაო მშენებლობა

ამ მხრივ უნდა ითქვას, რომ ჩვენ გვაქვს უკანასკნელი ადგილი. ყველაზე მეტად სიყოჩაღე გამოიჩინეს საბინაო აღმშენებლობაში ბაქოელებმა და ახ. სერებროვსკიმ.

აი რა გააკეთეს მათ ბაქოში: 1 ოქტომბრამდე საძირკველი ჩაეყარა 609 სახლს 2,054 ბინით, 1 ოქტომბრის შემდეგ—40. სულ საძირკველი ჩაეყარა 649 სახლს 2693 ბინით. საერთო არე უდრის 188,510 კვ. საჟენს 1 ოვვისტოსათვის „აზნავთის“ სახლებში სცხოვრობდა 28,189 კაცი, „აზნავთი“-ს სახლების გარეშე—18,761 კაცი. მუშათა მოსახლეობის ასაშენებლად 1923—24 წელს გაცემული იქნა კredიტი—2,050,000 მანეთი, 1924—25 წელს 1 ნახევ. მილიონნი, 1925—26 წელს—2,669 ათასი; სულ 7,119,000. ეს არის, ამხანაგებო, ოფიციალური ციფრები, მაგრამ ამხ. სერებროვსკიმ ყურში ჩაჩურჩულა, რომ ცოტა მეტი დაიხარჯოო.

ამიერ-კავკასიის ბიუჯეტი

რას წარმოადგენს ჩვენი ბიუჯეტი? ჩვეულებრივად ჩვენი მტრები ბუდამ სცდილობენ დაგვიმტკიცონ, რომ როდესაც ლაპარაკობენ დოტაციაზე, იმაზე, რომ მოსკოვი გვეხმარება და სხვა, ეს სიმართლეს არ შეეფერება.

განა ასეა ეს? თუ ჩვენ ავიღებთ ამიერ-კავკასიის ტერიტორიულ ბიუჯეტს 1924—1925 წ. და ავიღებთ შემოსავალს, რომელიც შემოვიდა ჩვენს ტერიტორიაზე საბაჟოში, აქციზის, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის, რკინისგზის შემოსავლის სახით, ყველაფერს უკანასკნელ კაპეიკამდე, აღმოჩნდება, რომ სულ შეკრებილია 1924—1925 წ. ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე 91.659.642 მანეთი დახარჯულია ამავე ტერიტორიაზე, სხვათა შორის ომიობაზედაც 118,115,958 მანეთი. დეფიციტი უდრის 26,456.316 მან. მიმდინარე წელს სულ შემოსავალი ნავარაუდევია 121.510.586 მანეთად. გასავალი—177.953.065 მანეთის. დეფიციტი 56.442.479 მანეთი.

შარშან საგანგებო ხარჯები, ე. ი. სახალხო მეურნეობის, მრეწველობის, სასოფლო-მეურნეობის, რკინისგზის, მრეწველობის და სხ. ხარჯები უდრიდა 16 ნ ნ. მილიონს. წელს განზრახულია ამ ციფრის გადიდება 60 მილიონამდე, ე. ი. გადიდდება 150 პროცენტით.

ამასთან ერთად ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ როგორ მიდის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საქმე, იზრდება იგი, თუ მცირდება.

შარშან სასოფლო-სამეურნეო გადასახადი უდრიდა 10.758.405 მანეთს, წელს—5.804.146 მანეთს, ე. ი. შემცირებულია 50 პროც.

აქ, ჩემის აზრით, დიდი კომენტარიები საჭირო არ არის, ვინაიდან ყველამ კარგად იცის, თუ რამდენად თავისუფლად ამოისუნთქეს გლეხებმა.

რესპუბლიკების ბიუჯეტის გაფერთიანებელ კომისარიატებზე: საქართველოში შარშან იყო 13 ნახ. მილიონი მანეთი (მე მოვიყვან რვავლ ციფრებს), წელს—დაახლოვებით 18 მილიონი მანეთი, გადიდებულია 35 პროც. აზერბეიჯანში იყო—11, წელს კი—16 ნახ. მილიონი, გადიდებულია 38 პროც., სომხეთში იყო 4.231 ათასი მანეთი, წელს. 5773 ათასი, გადიდებულია 36 პროც.

მე არ შევეხები სასოფლო-სამეურნეო კრედიტს და სანანკო კრედიტს, რათა ძალიან არ დაგლალოთ ციფრებით, ვიტყვი მხოლოდ, რომ დღეს სანანკო კრედიტი ჩვენს სახალხო მეურნეობაში უდრის 74 ნახ. მილიონ მანეთს.

სასოფლო სამეურნეო კრედიტი—11 მილიონ მანეთზე მეტს.

როგორც ხედავთ, ამხანაგებო, ეს ციფრები არ ამტკიცებენ იმას, რომ ჩვენ დავანგრიეთ ამიერ-კავკასია.

ამიერ-კავკასიის ინდუსტრიალიზაცია

ჩვენმა პარტიამ, შეიგნო, რა საოფლო მეურნეობის განვითარების მნიშვნელობა, გარკვევით და გადაჭრით წამოაყენა საკითხი ამიერ-კავკასიის ინდუსტრიალიზაციის შესახებ. ზოგი რამ ამ მიმართულებით უგეგმოთ კეთდებოდა, მაგრამ ამიერ-კავკასიისინდუსტრიალიზაციას მტკიცე საძირკველი ეყრება წელს.

წელს ჩვენ ვიწყებთ ახალ ფაბრიკების და ქარხნების აშენებას, რისთვისაც გადადებულია დახლოვებით 12 მილიონი მანეთი.

წელსვე დაიწყება ჩვენი საზოგ სიმდიდრეთა კვლევა-ძიება. საბოლოოდ იქნება გამოკვლეული ტყვარჩელის ქვანახშირზე, სპილენძის მადნები და სხვ. სამთო და საფეიქრო მრეწველობას უსათუოდ აქვს ჩვენში დიდი მომავალი. სოციალისტური ამიერ-კავკასია დაყრდნობილი იქნება ნავთზე, საფეიქრო მრეწველობის ელექტროფიკაციაზე, ტყვარჩელის ქვანახშირზე, დაშკესანის რკინის მადნზე, სპილენძზე და ზაგ

ქვაზე. ამიერ-კავკასიის ღატაკ ... გადაიქცევა საბჭოთა-საფეიქრო-მეტალურგიულ რაიონად ელექტროფიკაციის საფუძველზე. ეს ამოცანა უნდა იქნას დასმული ჩვენს წინაშე, იგი უნდა იქნას შესრულილი და განხორციელებული.

ბევრ სკეპტიკოსებს ეს შეიძლება ეჩვენოთ ფანტაზიათ. დეე! მათ ოქტომბერიც ბოდვა ეგონათ და არა მხოლოდ ფანტაზია, მაგრამ ოქტომბერმა იდღესასწაულა თავისი მე 8 წლის თავი. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ შემდეგ 8 წლის თავზე განხორციელებული იქნება ზემონათქვამის არა ნაკლებ 90 პროც.

იქნება თუ არა ამიერ-კავკასია, ბატონო მენშევიკებო, დაშნაკელებო, და შუსავატელებო, კოლონიათ?, ვინ მოგვცემს თანხებს ამ სამუშაოების საწარმოებლად? ვინ ფარავს ჩვენი რესპუბლიკების დეფიციტს?--საბჭოთა კავშირის, უმთავრესად საბჭოთა რუსეთის ხაზინა. შეიძლება ეს არ იყოს მართალი? აბა სინჯეთ ამისი გაბათილება.

აი, ამხანაგებო, ჩვენი ძიღწევანი და ჩვენი გეგმა ჩენი სახალხო მეურნეობის განვითარების დარგში.

მუშათა და გლეხთა ფართო მასების, სინდისიერ მართლაც ხალხის ინტერესების დამცველ ინტელიგენციის გარეშე—ჩვენ ვერ ... ლებთ სოციალიზმის მშენებლობას ამოცანას.

პირი ვიბრუნოთ სოფლისაკენ

პარტიამ წამოაყენა ლოზუნგი, პირი ვიბრუნოთ სოფლისაკენ“,—სოფლის საწარმოვო ძალთა განვითარება, საბჭოების გამოცოცხლება, საბჭოთა დემოკრატიის განვითარება. ამ ამოცანების განსახორციელებლად საოლქო კომიტეტმა შიასრულა უდიდესი მუშაობა.

ზაფხულზე გამოკვლეული იყო 22 ადმინისტრატიული ერთეული, მოწვეული იყო სამი თათბირი პარტიულ მშენებლობის, კოოპერაციის და გლეხურ მეურნეობის განმტკიცების საკითხების განსახილველათ. ყველაფერმა ამან მოგვცა დიდძალი მასალა ჩვენი სოფლის მდგომარეობის შესახებ. დეე, ოთხრგვარდიელთა გაზეთმა „დნ“-მ შეათვასოს თავის ფურცლებზე საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმის ანგარიში, რომელიც მე წარმოვადგინე; დეე, მათ გაიხარონ ჩვენი ნაკლოვანებებით და ნაკლულოვანებებით, მაგრამ დეე, იცოდენ, რომ ჩვენ არ ვფარავთ ჩვენს ნაკლულოვანებებს და და აღმოჩენისთანავე გამოვასწორებთ მას ბოლშევიკური სიმტკიცით.

როგორი ნაკლულოვანებები აღმოვაჩინეთ ჩვენ სოფლად?

ჩვენი პარტიულ ერთეულების ჩამოუყალიბლობა, სოფლად მუშაობას წარმოების უცოდინარობა. ზოგჯერ მათი ჩამოშორება გლეხურ მასისაგან, პარტიულ და საბჭოთა ფუნქციების აღრევა. ელეხკომების თვითნებობა და მათ მიერ იმ უფლებების და მოვალეობების მითვისება, რომელიც მათ არ ეკუთვნისთ; უკანონო გადასახადების არსებობა, სოფლად მომუშავე ბევრ ამხანაგის უგარგისობა და უკულტურობა.

რა ნაბიჯები გადასდგა პარტიამ ამ ნაკლულოვანებათა გამოსასწორებლად და რისი გაკეთება მოვახერხეთ ჩვენ ამ მიმართულებით? რესპუბლიკების ცენტრ. კომიტეტებმა მთელი რიგი მუშაკები გაგზავნეს სოფლებში. დამუშავებულია დეიულება გლეხკომების შესახებ, მოსპობილია უკანონო გადასახადების აკრეფა და სხვა. მუშავდება დებულება ... ...

ბის დარაზმვა (დაქირავებული მუშების უფროესი ჩაბმით); ამასთანავე ყოველგვარი ზომები უნდა იქნეს მიღებული, რომ საშუალო გლეხობასთან ზეთანხმებითი იდგმებოდეს პრაქტიკული ნაბიჯები საბჭოების კოოპერაციის და გლეხკომების მუშაობაში და ამ საშუალო გლეხობასთან შეთანხმებით ასახელებდენ კანდიდატებს არჩევნების დროს.

კოოპერაციის მუშაობაში უნდა გაძლიერდეს ყურადღება ღატაკთა ჩაბმისადმი შიგ, რისთვისაც უნდა შემუშავდეს დამატებითი ზომები სასოფლო-სამეურნეო და საკრედიტო კოოპერაციაში ღატაკთა შესვლის გასაადვილებლად (მთავრობის დახმარება პაის შეტანის დროს და სხ.); ასეთივე ზომები უნდა გამომუშავდეს სოფლის უღარიბესი გლეხობისათვის მატერიალური დახმარების გასაწევად მათთვის სასოფლო-სამეურნეო კრედიტის გაფართოებით სესხის ვადების გაგრძელებით. სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობებთან ისეთ დაწესებულებების შექმნით რომლებიც უმთავრესად ღატაკებს შეუწყობენ ხელს, როგორც მაგალითად გამქირავებელი პუნქტების და სხ.

ღატაკთა მეურნეობის აღორძინების საქმისათვის დახმარების გაწევის მიზნით, ამ მეურნეობისათვის კრედიტების გაცემის გაძლიერებასთან ერთად სასოფლო-სამეურნეო კრედიტის თანხებიდან საერთო საფუძველზე, საჭიროა შეიქნეს მუდმივი სპეციალური ფონდი ცენტრალური სასოფლო-სამეურნეო ბანკის მონაწილეობით; ამ ფონდის სპეციალურ დანიშნულებას უნდა შეადგენდეს ღატაკთათვის კრედიტების გაცემა, კერძოთ კ[illegible]ექტივებისათვის, განსაკუთრებულ შეღავათიან პირობებში (შეღავათიანი ვადები, უზრუნველყოფის განსაკუთრებული შეღავათიანი პირობები და სხ. რუსეთის კომუნისტური პარტიის ცეკას პლენუმის 1925 წლის 10 ოქტომბრის დადგენილებებიდან).

ამგვარსავე შეცდომებს უშვებდენ ზოგიერთი ჩვენი ამხანაგები საბჭოების გამოცოცხლებისა და საბჭოთა დემოკრატიის გაბატარების საკითხში, ზოგიერთმა ჩვენმა ამხანაგებმა ვერ გაიგეს პარტიის ახალი კურსი და საბჭოთა ხელახალი არჩევნების დროს სრულიად გვერდზე დგებოდენ, საარჩევნო კამპანია მოკლებული იყო ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობას, რის გამო სასოფლო საბჭოების სათავეში კულაკური ელემენტები მოექცენ. საბჭოები უნდა გამოცოცხლდეს, საბჭოთა დემოკრატია უნდა სინდისიერად გატარდეს, მაგრამ პარტიამ ეს თავის ხელმძღვანელობის ქვეშ უნდა ჩაატაროს. პარტიის ხელმძღვანელობის შესუსტება არ შეიძლება არც ერთი ბიჯვით. პარტიის მიერ გათვალისწინებული ამოცანების სწორე და გამოცდილი ჩატარება უზრუნველყოს სახალხო მეურნეობის წარმატებით განვითარებას და ჩვენი სახელმწიფოს სოციალისტური ამოცანების განმტკიცებას.

ეი პარტიის ნათელი და გარკვეული ხაზი, რომელიც არ საჭიროებს რაიმეს შეცვლას და შესწორებას. რაც შეეხება მუშათა კლასს აქ პარტიის პოლიტიკა რჩება უცვლელი. ჩვენი პარტია არის კლასობრივი წარმომადგენელი პროლეტარიატის, ამ პროლეტარიატის ნაწილი და მისი ავანგარდი. მუშათა კლასი ოქტომბრის წინ, ოქტომბრის დღეებში, სამოქალაქო ომის დროს, ისე როგორც დღეს, მიდის ჩვენს პარტიასთან ერთად პროლეტარიატის უდიდესი იდეალის—სოციალიზმის განსახორციელებლად. პარტიამ პროფკავშირების საშუალებით მთელი მასით, მთელი კლასით უნდა ჩააბას მუშები სოციალიზმის აღმშენებლობაში.

სოციალიზმის გზა

პარტიის უახლოესი ამოცანები, სოფლის საწარმოო ძალების შემდეგი განვითარება. ცალკე ტეხნიკური კულტურების განვითარება. გლეხებისათვის საჭირო საქონლის მიწოდება და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გასაღების მოწყობა. გადამჭრელი ბრძოლა იმისათვის, რომ ჩვენი მეურნეობა გადავიდეს მიწის უმაღლეს კულტურაზე და მისი დამუშავების მექანიზაციაზე—ტრაქტორიზაციაზე. პირდაპირი კურსი ამერ-კავკასიის ინდუსტრიალიზაციისაკენ. ბრძოლა პარტიაში ნაციონალიზმის ნაშთების აღმოსაფხვრელად და საერთოდ სასტიკი ბრძოლა ნაციონალიზმის წინააღმდეგ. ეროვნულ უმცირესობათა კულტურული და ეკონომიური ინტერესების უზრუნველყოფა. **ტემპი და გეგმა მთელ მუშაობაში. მხოლოდ აღმოსავლეთური სიზარმაცის ტემპი კი არა, არამედ თუ ამერიკის არა—ჩვენ ცუდი ამერიკელები ვართ—ევროპის ტემპი მაინც.**

დაე ჩვენმა ამხანაგებმა ისწავლონ ამბ. სერებროვკისაგან, რომელმაც თავის ამხანაგებთან ერთად მოკლეხნის განმავლობაში სრულიად ახალი სახე მისცა ბაქოს. აქ დამსწრე ამხანაგებ შორის ბევრი ყოფილა ბაქოს ნავთის სამრეწველოებზე. მათ კარგათ ეხსომებათ, თუ როგორი პირველყოფილი საშუალებებით ქაჩავდენ იქ ნავთს.

ეს პირდაპირ იდიოტური მუშაობა არის. ეხლა იქ არის ამერიკული მანქანა, რომელიც იღებს ნავთს ჭიდან. არის კ�ტონის სისტემის მამძრავებელი მანქანა და ერთი ამ მანქანით შეიძლება 30 ღრმა საჭის მამძრავობაში მოყვანა, ხოლო ყოველივე ამას თვალყურს ადევნებს ეხლოდ ერთი კაცი. ამგვარად 30 კაცის ნაცვლად ერთ რიგში—იქ კი სამი რიგი მუშაობდა, მაშასადამე 90 კაცის ნაცვლად ეხლა საჭიროა 3 კაცი, დანარჩენს, კი ყველაფერს მანქანა აკეთებს. აი მიღწევა! იმგვარადვეა ვი[illegible]ების საქმეც. ჩვენ ვფიქრობდით, რომ ისინი აუცილებლად საჭირონი არიან, თუმცა ეს არა ყოფილა მართალი. **წინად ერთი ჭის ამოსათხრელად საჭირო იყო 9 კაცი 12 თვის მუშაობა, ეხლა კი ამბ. სერებროვსკი ამერიკიდან გადმოღებული წესით ამ საქმეს ახრულებს სულ ბევრი 15 დღის განმავლობაში.** გაზს, რომელიც წინად ტყუილა იკარგებოდა, ეხლა იყენებენ. მისგან იღებენ ბენზინს როგორც საბობრ მასალას.

რაც შეეხება მუშათა უბნებს, ეს პირდაპირ საზიზღარია. ექვსი თვის წინად, 1 მაისს, მათ საძირკველი ჩაუყარეს მუშათა უბანს სტენკა რაზინის მთასთან. მუშათა უბნები არის ბალახანაში, ბიბი-ეიბატში და ყველა სხვა რაიონებში. სტენკა რაზინის მთასთან 6 ვერსის სიგრძეზე შენდება მუშათა უბანი, სადაც იქნება 10.000 ბინა. ამ ჟამად აშენებულია 380 სახლი, შუაში მიდის შესანიშნავი კიროვის პროსპექტი დაფარული ბეტონით, რომელსაც ორივე მხრით ტროტუარი მიყვება. იქ შენდება თეატრი, კლუბი და სხ. **მთელ ამ მუშაობას აწარმოებს ბაქოს პროლეტარიატი ჩვენი პარტიისა და ჩვენი საუკეთესო სამეურნეო მუშაკის ამხ. სერებროვსკის მეთაურობით.**

აღმშენებლობის საქმეში ჩვენ ყოველ საიუბილეო მუშაკს, თითოეულ ტეხნიკ ინჟენერს შევფასებთ იმისდა მიხედვით, თუ რა უნარი აქვს მას და რამდენად ჩქარი ტემპით შეუძლია მუშაობა. აქ არავითარი კარჩაკეტილობა დასაშვები არ არის. ნაციონალური კარჩაკეტილობა ამ დარგში რეაქციონური მოვლენა არის და ის შავნებელია თვით ამ ერის განვითარებისათვის; ჩვენ უნდა მოვიზიდოთ ყველა მცოდნეები მიუხედავად იმისა, თუ რა ეროვნებისა არიან ისინი.

ამ საკითხების გარშემო უნდა მოხდეს მთელი პარტიის მობილიზაცია. საჭიროა, რომ მთელმა პარტიამ მიიღოს აქტიური მონაწილეობა ჩვენს ყოველდღიურ მუშაობაში. პარტიას უნდება მუშაობა ახალს საკმათდ რთულ პირობებში. აქ მუშაობა ახალი სახით უნდა იქნეს დაყენებული. პარტიის ფართო აქტივების საშუალებით მოძრაობაში უნდა იქნეს მოყვანილი მთელი პარტია. ყოველმა უჯრედმა უნდა იცოდეს თუ რა ვაკეთოს ქარხანაში, ფაბრიკაში, სოფელ, ქალაქში. უჯრედმა უნდა უხელმძღვანელოს მუშათა ასებს ქალაქში და გლეხებს სოფელ. ამის შესრულებას ის შესძლებს თუ ამ შემთხვევაში, თუ ყოველთვის მტკიცე კავშირი ექნება მუშათა და გლეხთა მასებთან. არ შეიძლება ძველებურად ბრძანებლობა, საჭიროა ხელმძღვანელობა!

(ხანგრძლივი ტაში)

მეორე სხდომა

ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის საორგანიზაციო ანგარიში

ამხ. ა. ნაზარეტიანის მოხსენება

საოლქო კომიტეტის საორგანიზაციო მუშაობა წასულ საანგარიშო წელში მიმდინარეობდა განსაკუთრებულ პირობებში. ეს წელი აღინიშნა ჩვენ რესპუბლიკების ცხოვრებაში, როგორც სოფლის მეურნეობის აღორძინების და ბუშათა გლეხთა მასების თვითმოქმედების ზრდის წელი. ეს დადებითი მოვლენა, ამავე დროს, შეფერხებულ იქნა აგვისტოს ამბებით და ამხ. ალიოშას სიკვდილით.

შესაძლო თუ არა საოლქო კომიტეტმა განვითარებინა შესაფერისი მუშაობა კომუნისტურ პარტიის მწრომელ მასსებში გავლენის გასამტკიცებლად? შესაძლო თუ არა მან გაემაგრებია პარტიული, საბჭოთა პროფესიონალური ორგანიზაციები და დაწესებულებები ჩვენი რიგების ნაგან გაჯანსაღებისათვის და პარტიაღმზრდელობის შესაფერის დონეზე დასაყენებლად?

ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საკითხი საორგანიზაციო მუშაობის მოხსენებიდან არის ის, თუ რამდენად შესძლო საოლქო კომიტეტმა გაეტარებია ყველა ის დადგენილებანი, რომელიც წამოყენებული იყო ჩვენ პარტიის მე-13 ყრილობის და ცენტრალური კომიტეტის მიერ. უნდა აღენიშნოთ, რომ საორგანიზაციო მოხსენებიდან მე გამოვტოვე საკითხი სოფლად მუშაობის შესახებ, რადგან ამაზე თქვენ ეროგახსენებს ამბ. მამია ორახელაშვილი. რაც შეეხება პროფესიონალურ საკითხებს, ის იქნება გამუქებული ამბ. სემკოვის მიერ. კომკავშირის შესახებ კი გაკეთებული იქნება საგანგებო მოხსენება ამბ. კარაევისა.

ჩვენი პარტიის მდგომარეობა

როგორია ჩვენი პარტიის რიცხვობრივი მდგომარეობა, მისი სოციალური სახე, და შემდეგ, როგორც ცალკე უჯრედების, ისე მთლიანად პარტიულ აპარატის მუშაობა? საქართველოში ჩვენ გვყავს სულ 21.849 კომუნისტი. მათ შორის პარტიის წევრებია—13.679 კაცი, კანდიდატები კი — 7.680 ამერბეიჯანში ირიცხება სულ—21.861, აქედან პარტიის წევრებია 13.313. კანდიდატები —9.548. სომხეთში სულ არის 6.511 კომუნისტი, რომელთაგან პარტიის წევრებია—3.437 და კანდიდატები—3.074. აქედან სჩანს, რომ ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი ორგანიზაცია არის აზერბეიჯანის ორგანიზაცია, მას მიჰყვება საქართველო და ყველაზე მცირერიცხოვანი სომხეთის ორგანიზაცია. სულ ამერ-კავკასიის სტატიტ ქალაქების ორგანიზაციებში ირიცხება —26.226 კაცი და სამაზრო ორგანიზაციებში—24.495 წევრი. რა თქმა უნდა, სატატტო და სამაზრო ორგანიზაციების რიცხვობრივ შემადგენლობის ასეთი შეფარდება თავის გავლენას ახდენს პარტიის მუშაობაზე.

პარტიის სოციალური შემადგენლობა

როგორია სოციალური მდგომარეობა? მე-12 პარტიულმა ყრილობამ მიუთითა ყველა ორგანიზაციებს, რომ არა ნაკლებ 50 პროც.-სა ჩვენს ორგანიზაციებში ყოფილიყენენ მუშები, ამ ხანად, ჩვენ გვყავს პარტიაში 42 პროც. მუშები. ასე რომ პარტიულ ყრილობის დირექტივა თითქმის შესრულებულია. მუშების შემდეგ, ჩვენი ორგანიზაციების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენენ გლეხები და მხოლოდ მცირედი რიცხვი ხედება წილად მოსამსახურენს.

მუშათა ჯგუფები პარტიაში გაიზარდა, განსაკუთრებით, ლენინის გაწევის დროს მაგრამ, ამ გაწევის დასრულების შემდეგაც, მუშების ლტოლვა პარტიისაკენ იგივე დარჩა და არ შეწყვეტილა. როგორი დასკვნა შეგვიძლია აქედან გამოვიყვანოთ? მომავალში პარტიის მორიგ ამოცანას შეადგენს ჩაბმულ იქნას ჩვენს რიგებში ყველაზე უფრო მომზადებული მუშათა კადრები და აგრეთვე სოფლის უღარიბესი და საშუალო შეძლების გლეხობის ნაწილი.

პარტიის შემადგენლობა სქესის მიხედვით

როგორია ჩვენი პარტია სქესობრივ ზემადგენლობის მხრივ? საქართველოში კომუნისტ-ქალების და ქალიშვილების რიცხვი უდრის 554 (4,7 პროც.); აზერბეიჯანში—540 (5,1 პროც.); და სომხეთში—კომუნისტი ქალები შეადგენენ—103 პარტიის წევრს (2,5 პროც.). ასეთი იყო მდგომარეობა 1924 წლის პირველ იანვრისათვის. მომდინარე წლის პირველ ოქტომბერს კი ჩვენ შემდეგი სურათი გვაქვს: საქართველოში ქალები შეადგენენ—1.168 (5,5 პროც.) აზერბეიჯანში—1.121 (4,9 პრ.) და სომხეთში—272 (4,1 პროც.). ამ ნაირად ყველაზე ღარიბი ქალ-კომუნისტების მრიგ არის სომხეთის კომპარტია. ცხადია, ქალთა საქმაო რაოდენობის არ ყოლობის გამო, მნიშვნელოვნად ფერხდება პარტიის ჩუშაობა ბუშა და გლეხ-ქალებს შორის.

ეროვნული შემადგენლობა

ეროვნული შემადგენლობის მხრივ ასეთი სურათია: 50.721 პარტიის წევრებ და კანდიდატებისაგან, რომელიც გაერთიანებულია ამიერ-კავკასიის ორგანიზაციებში, ჩვენ გვყავს: ქართველები 13.510, სომხები—12.273, თათრები—9.433 ტ რუსები—10.245 და სხვა ეროვნებები—5.204.

რა მისცა ჩვენს ორგანიზაციებს ლენინის გაწევამ? ამ გაწევით ჩვენ შეგვემატა 12.000 პროლეტარი. ეიუხ. იყენენ საუკეთესო ნაწილი ბაქოს, თბილისის და სხვა მუშათა ცენტრების პროლეტარიატი-ერ-კავკასიის ინდუსტრიალიზაციისაკენ. ბრძოლა პარტიაში ნაციონალიზმის ნაშთების აღმოსაფხვრელად და საერთოდ სასტიკი ბრძოლა ნაციონალიზმის წინააღმდეგ. ეროვნულ უმცირესობათა კულტურული და ეკონომიური ინტერესების უზრუნველყოფა. **ტემპი და გეგმა მთელ მუშაობაში. მხოლოდ აღმოსავლეთური სიზარმაცის ტემპი კი არა, არამედ თუ ამერიკის არა—ჩვენ ცუდი ამერიკელები ვართ—ევროპის ტემპი მაინც.**

უჯრედების მუშაობა

გადავიდეთ ეხლა უჯრედების მუშაობაზე. სულ ამიერ-კავკასიაში ჩვენ გვაქვს 273 მუშათა უჯრედი. აქედან საქართველოში—93, აზერბეიჯანში—166, სომხეთში—14. სოფლის უჯრედები კი ამიერ-კავკასიის ფარგლებში აღწევს 1.384, რომელთაგან საქართველოშია 697 სოფლის უჯრედი, აზერბეიჯანში—367 და სომხეთში—320. დაწესებულებათა უჯრედები სულ ადგენენ სამ რესპუბლიკაში 256, საიდანაც საქართველოს ორგანიზაციაში არის 118, აზერბეიჯანის 77 და სომხეთის 66.

როგორ იზრდებოდა უჯრედები? 1924 წლის 1-ლ იანვრამდი მთელ ამიერ-კავკ. იყო სულ 1.945 უჯრედი. 1925 წლის 1-ლ ოქტომბრისათვის კი—2.190 უჯრედი. ამ ცნობებს ჩვენ მიგვეგვანთ იმ დასკვნამდი, რომ ჩვენ უჯრედებს შორის სპარბობს სოფლის უჯრედები, მაგრამ რიცხვობრივ შემადგენლობით და თავისი დირსებებითაც ქალაქის უჯრედები უფრო მაღლა სდგანან.

რამდენიმე დამახასიათებელი ფაქტები

ეხლა მე მინდა შევჩერდე რამდენიმედ დამახასიათებელ ფაქტებზე ჩვენი ქალაქის უჯრედების მუშობიდან, რომელთა მიხედვით, შეეძლება პარტორგანიზაციას შესაფერისი დასკვნები გამოიტანოს თავის მუშაობის გასაუმჯობესებლად. პირველ ყოვლისა ავიღოთ ერევნის ორგანიზაცია. უმთავრესი, რაც აქ იცეცეს ჩვენს ყურადღებას, არის ის, რომ არ არსებობს არავითარი ზღვარი პარტიულებსა და უპარტიოთა შორის, კომკავშირის და პარტიის ყველა უჯრედებში მუშების მიღების საკითხს სწყდება ძალიან უბრალოდ „მოისმინეს—ამა და ამის ბიღება, დაადგინეს: მიღებულ იქმნას ერთხმად, **როგორც მუშა**“. არავითარი კომენტარიები, არავითარი ახსნა-განმარტება იმის შესახებ, რამდენად ღირსია პარტიის წევრობისა, აქ არ მოიპოვება.

ნეორე შემთხვევა. ერთ კითხვაზე, რომელიც მიმართული იყო უჯრედის ერთ წევრისადმი, თუ რას აკეთებდენ ისინი კრებებზე, მან გვიპასუხა:—ჩვენ ვმსჯელობთ მუშების ჯამაგირებიდან სხვადასხვა პროცენტულ გამოკლებებზე. ეს გამოკლებები კი შრომის ხელფასიდან, როგორც გამოირკვა, აღწევდა 10 პროცენტამდე. მესამე მაგალითი. ერთ ერთი ტყავის ქარხნის უჯრედის მდივანი წელიწად ნახევარი იყო ტყავის ტრესტის თავმჯდომარეთ. არარატის ქარხანაში კი, უჯრედის მდივანი 4 წლის განმავლობაში ასრულებდა დირექტორის მოვალეობას.

ავიღოთ თბილისის ორგანიზაცია. ერთ უჯრედის სხდომაზე პარტიის წევრი აცხადებს:—„საჭიროა, თუ არა, სახელწიფო ოპერა? რატომ ხარჯავენ მაზედ ფულს? ნუ თუ იმიტომ, რომ ბალეტლებულმა ბალერინებმა გარყვნან ჩვენი ამხანაგებიო“? შემდეგ გამოდის პარტიის მეორე წევრი: „სახელმწიფო ოპერა არის საჭიერი საზრდო. ესაა კულტურა. ბალეტი ჩვენ უნდა განვავითაროთ და არა ჩავახრჩოთ. თუ არის იქ რაიმე ნაკლი, მას ესაჭიროება გამოსწორება“. პირველ ამხანაგს არ სურს დაჰყაროს ფარხმალი და აცხადებს, რომ ერთ ერთმა ამხანაგმა, რომელიც გარყვნა ბალერინმა, გაფუანგა სახაზინო ფულებიო. ჩვენ, არ გვინდა ბალერინები, ის თამაშობს „მომაკვდავ გედს“ და შემდეგ სცენაზედ კვდება“. ეს საკითხი, ხელმეორედ წამოჰყოფს თავს იმავე უჯრედში. გამოდის იგივე ამხანაგი და აცხადებს: „ბალეტზე და ოპერაზე იხარჯება 60,000 მანეთი, უკეთესი არ იქნება, რომ ამ ფულით გაგხსნათ სკოლები, მივაქციოთ მეტი ყურადღება პროლეტარულ სტუდენტობას და სოფელს, თორემ ლოზუნგი „პირი სოფლისაკენ“ ქაღალდზედ გვრჩება, უჯრედმა დაადგინა, ეთხოვოს რაიკომს გამოგზავნოს მომხსენებელი ჩვენი თეატრალური პოლიტიკის შესახებ (სიცილი) მოხსენება, რა თქმა უნდა, არ გაკეთებულა. (ხმები: რომელი უჯრედია ესე?). ეს არის თბილისის დეპოს უჯრედი.

ავიღოთ ეხლა ბაქო არის ბაქოში უჯრედი, რომლადანაც რაიკომში ქაღალდის მისვლას უნდება 20 დღე, და ეს მაშინ, როცა ჩქარი მატარებელი მოსკოვიდან ბაქომდე უნდება 4 დღეს. არის უჯრედები, სადაც ოქმები იწერება ერთხელ მიღებულ ტრაფარეტის მიხედვით: „მოვისმინეთ“ — „დავადგინეთ“, „მიღებულ იქნას მხედველობაში“. არავითარი წინადადებები, არავითარი პრაქტიკული ხასიათის დადგენილებები ამ ოქმებში არ სჩანან. იშკარაა, ასეთი ოქმებით ვერ იქმნიან წარმოდგენას უჯრედების მუშობაზე.

არის ერთ ერთ-ჩვენს რესპუბლიკაში უჯრედი, რომელმაც ეროვნული კითხვა თავისებურათ შეითვისა. ამ უჯრედის საორგანიზაციო კომისიამ 8 აგვისტოს სხდომაზე მოისმინა საკითხი „ნაციონალური მომენტი ჩვენი უჯრედის ზრდაში“. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოების მუშების მთელ რიცხვიდან უჯრედში ჰყავთ ქართველების 10 პროც., სომხების 18 პროც. და რუსების—28 პროც. მან სთქვა: „როგორც ხედავთ, ჩვენი უჯრედი ეროვნული შემადგენლობის მხრივ, სრულიად არანორმალურად იზრდება“ (სიცილი).

უჯრედი ადგენს: „მივიღეთ რა მხედველობაში, რომ ჩვენი უჯრედი ეროვნების მხრივ იზრდება არანორმალურად, რომ მისი შემადგენლობა არა პროპორციონალურია, ნაციონალურად, დავადგინეთ რადგან რუსები, არც ისე ბევრია და არ არის დიდი ლტოლვა მათ მხრივ პარტიაში შემოსასვლელად, განვაგრძოთ მათი მიღება ისე, როგორც დღემდი ვაწარმოებდით. სომხების მიმართ, პარტიაში მიღება დროებით შეეგაციროთ და მივიღოთ ისინი დიდი გაცხრილვის შემდეგ და განსაკუთრებული სიფრთხილით, რაც შეეხება ქართველებს, გადადგმული იქნას შესაფერისი ნაბიჯები მათი საუკეთესო ნაწილის პარტიაში შემოსაყვანათ და გაძლიერებულ იქნა-მათი მიღება. რომ ამით გავათანასწოროთ უჯრედის ეროვნული შემადგენლობა“. ეს დადგენილებაა ორს განიზაციულ კომისიისა დამტკიცებულ იყო კოლექტივის ბიუროს მიერ, მაგრამ საბედნიეროდ, ის თავის დროზე გაუქმებული იქნა ზემომდგომარე პარტიულ ორგანიზაციის ბიერ.

მთელი ეს უჯრედების მუშაობის თაიგული გვირვენდება ჩვენი ახალი კურსის ძალიან თავისებური გაგებით ზოგიერთ პარტ-აპარატნიკების მიერ. ასე მაგალითად, ერთი მუშაკთაგანი სწერს ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტს, რომ ახალი კურსი ცუდათ არის შეთვისებული ამხანაგების მიერ, რომ ამ კურსის საფუძველია შემდეგი მოთხოვნილება—კომუნისტმა არაგის არ უნდა აწყენინოს და ყოველივეს უნდა შეეგუოსო- (სიცილი).

მე ვფიქრობ, რომ ეს მაგალითები საკმარისია შესაფერის დასკვნების გამოსაყვანად და მომავალში, იმ დეფექტების თავიდან ასაცილებლად, რომელზედაც ეხლა გიამბეთ.

პარტაპარატის მუშაობა

მთელ თავის მუშაობის განმავლობაში საოლქო კომიტეტის მიერ შედგენილი იყო 194 კომისია. აქედან ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი კომისიები იყო: 1) შინაურ ვაჭრობის მომზეურიგებელი 2) ბაზრის გამომრკვევი, 3) ამიერ-კავკასიის საბიუჯეტო, 4) სასოფლო-საბეურნეო—სოფლად მომუშავე, 5) პერიოდიულ პრესის გამომრკვევი და სხვა კომისიები.

კომისიებმა მოიარეს ახალქალაქის, ახალსენაკის, ლენინაკანის, ლორიბამბაკის, ზანგეზურის, ეჩმიაძინის, ზუგდიდის, სენაკის და ახალციხის ბაზრები. ისინი იყვნენ აგრეთვე სამხრეთ-ოსეთში, [illegible]ზეთში, ყარაბაღში, და კუბაში კომისიათა მიერ გამოტანილი პრაქტიკული წინადადებები ტარდებოდა ცხოვრებაში რესპუბლიკანურ ცეკას მიერ.

გარდა ამისა, მე-13 პარტიულ ყრილობის და მე-14 პარტკონფერენციის დადგენილებების თანახმად ამ საკითხებზე ბევრ ადგილებში ეკონომიური ბაზრის ორგანიზაციებში უმნიშვნელოა. ეს იმით აიხსნება, რომ ჩვენ ქალთა ფენებიდან ბევრ ადგილებში ჩაბმა პარტიის რიგებში. რესპუბლიკათა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტების შემადგენლობაში ქალები წარმოადგენენ 3-დან 5-პროცენტამდე, ამიერ-კავკასიის ცაკში კი —1,9 პროცენტს[illegible]ადგენენ, —რაც ჩვენ წინად გვქონდა, ეს დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

დიდი მნიშვნელობა იქონია აგრეთვე ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელ კომისიებმა. აზერბეიჯანში მან დიდი სარგებლობა მოიტანა ქალთა უფლებრივ მდგომარეობის შესამსუბუქებლად, საქართველოში და სომხეთში ის ხელს უწყობს ქალთა ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებას, პოლიტიკურნის სკოლები საქართველოში დაარსულა 1.112 ქალმა, სომხეთში—1,643 აზერბეიჯანში—(მხოლოდ ბაქოში)—203 ქალმა, საქართველოს მუშფაკულტეტი გიიარა—150 ქალმა, სომხეთში—50, აზერბეიჯანში—257. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს რომ ქალთა შორის განსაკუთრებით მწვავედ სდგას უნუშეგრობის საკითხი. რომელიც გამოწვეულია ქალთა არა კვალიფიციურობით,

ქალთა შორას მუშაობა უნდა გატარებულ იქნას პარტორგანიზაციების მიერ და იქ, სადაც ამას ხელს უშლის თავისებური პირობები, ამ საქმეზე უნდა გამოყოფილი იქნას ქალი ამხანაგები. გარდა ამისა, ჩვენს მუშაობას ხელსით უშლის ფინანსიური განყოფილება, რასაც უნდა მიეცეს განსაკუთრებული ყურადღება. არის შემთხვევები, რომელზედაც, სხვათა შორის, აახ. სერგოც ითუთითებდა, რომ პარტიის წევრი მამაკაცები ხალის ეკიდებიან ქალთა გაერთიანება-გათვითცნობიერების საქმეს, მაგრამ არ სცდილობენ, რომ ამ მუშაობაში ჩააბან თავისი ცოლები.

დასასრულ საჭირო, რომ მომავალში განსაკუთრებული ყურადღება მიეცეს მშრომელ ქალთა, არა მარტო პარტიულ, არამედ საბჭოთა აღმშენებლობაში ჩაბმას.

ამხ. ივანოვი

(ბაქო)

როგორც ამხ. ორჯონიკიძემ აღნიშნა, შრომის ნაყოფიერება და მუშათა ხელფასი წარსულ საანგარიშო წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა, მაგრამ ასეთივე ზრდა არ გვექნება ჩვენ დამდგარ წელში, რადგან არ შეიძლება შრომის ნაყოფიერებაზე ზრუნვა მხოლოდ მუშათა კლასის ენერგიის და გარჯილობის იმედით. აქ საჭიროა ერთს მხრივ, მრეწველობის ტეხნიკურ მოწყობილობათა გადახალისება გადაუმჯობესობა და მეორე მხრივ—მუშათა კვალიფიციურ კადრების მოზადებაზე ზრუნვა.

შრომის ნაყოფიერების შემდეგ ზრდას ხელს უშლის აგრეთვე ბინების სივიწროვე. მუშათა რეალურ ხელფასის მომატებისათვის, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიეცეს ბაზრის ფასების გაუმჯობესებას. საოლქო კომიტეტის ახალმა შემადგენლობამ ეს საკითხი ფართედ უნდა დაიყენოს.

ამხ. მუხეთი-ოსმანი

(ზაქათალის ოლქი)

ორატორი მოუთხრობს ყრილობას იმ ზიანის შესახებ, რომელიც მიაყენა მათ მხარეს გვალვამ. გარდა ამისა ის აღნიშნავს, რომ თუმცა გადასახადი ცოტა იყო, მაგრამ ის არ იყო თანაბრად განაწილებული მოსახლეობაზე, რაც გლეხობაში უკმაყოფილებას იწვევს. ბევრ მაზრებში, ორატორის სიტყვით, მოკალათებულია ძველი ჩინოვნიკები და ნიკოლოზის დროიხდელი ადმინისტრატორები. ქალთა შორის მუშაობა ჩვენს მაზრაში, განაგრძობს ორატორი, არ არის საკმაოდ კარგად დაყენებული, პარტია ვერ უწევს ხელმძღვანელობას ამ საქმეს. ჩვენს სოფლებში არიან ბევრი ობოლი ბიშვები, რომელთაც სწავლის დიდი წყურვილი აქვთ, მაგრამ არავითარი საშუალება არაა მათ დასაკმაყოფილებლად.

ამხ. იუკოვა

(ბაქო)

ორატორი აღნიშნავს იმ დიდ აქტივობას და თავისუფლებისადმი ლტოლვას, რომელსაც ადგილი აქვს ღღეს აღერბეიჯანის ეკონომიურად და უფლებრივად დაჩაგრულ ქალთა შორის. მიუხედავათ ამისა, ამბობს ის, ჩვენს სამეწველო ცენტრებშიაც კი (სოფლებზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია) არ იციან, რომ არსებობს სადელეგატო კრებები. არის კიდევ სხვა დეფექტებიც, მაგრამ საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ოქტომბრის რევოლუციამ თავისი საქმე გააკეთა. მან აამოძრავა მშრომელი ხალხის ფართე ფენები, რომელიც ჩვენს მიერ ჯერ კიდევ არაა სავსებით გამოყენებული, აზერბეიჯანის მშრომელი ქალები, რომელთაც აქვთ საყვარელი სიმღერა „ქალი და ოქტომბერი“, დიდი სიყვარულით უყურებს საბჭოთა ხელისუფლებას და ისიც მას თავის განძანთაყოსუფლებად სთვლიან.

ამხ. გამზარდაშვილი

(ჭიათურა).

სასოფლო გადასახადი ღღეს იმდენად მცირეა, რომ გლეხები ხუმრობიან ამბობენ: „მთავრობამ ისე ცოტა შეგვიწერა, რომ სამასხროთ აგვიღოო“. მიუხედავათ ამისა, უნდა ითქვას, რომ დეფექტებს მაინც აქვს ადგილი. ეს გამოიხატება იმაში, რომ ეს მცირე გადასახადიც ვერ არის სამართლიანად გაწერილი. მდიდრები ზოგჯერ უფრო ნაკლებს იხდიან, ვიდრე ღარიბები. გარდა ამისა, საჭიროა რაც შეიძლება და ჩქარებით ჩატარებულ იქნას, მიწად მოწყობის საქმე.

სოფლის შემეცნიერული მოსახლეობა ზზრად, უფრო მეტ აქტივობას და მოძრაობას იჩენს. ისინი უკლებლივ ესწრებიან კრებებს და გამოდიან აქ სადემაგოგიო და პროვოკაციული სიტყვებით. ტყით სარგებლობის საქმეში „კულაკები“ უფრო დაწინაურებული არიან, ვიდრე ღარიბი გლეხობა. საჭიროა ყოველივე ამას მიეცეს მომავალში მეტი ყურადღება.

ამხ. ბართანიანი

(სომხეთი).

ჩვენი პარტია, როგორც ვიცით, შეუჩერებლივ იზრდება რიცხვობრივად. დიდი ლტოლვა ეჩჩენეა პარტიისადმი ინტელიგენციას, ისინი ზოგიერთ შემთხვევაში ცდილობენ გამოიყენონ პარტიის ხლობა და სახელი პირად ინტერესებისათვის. ამიტომ საჭიროა, განსაკუთრებული სიფრთხილით იქნან დაშვებული პარტიაში ინტელიგენტები. ჩვენ გვიყვარს კაპიტალების ზმირი წარმოება ეს რა თქმა უნდა, კარგია. მაგრამ ამასთან ერთად საჭიროა ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობას მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება.

ამხ. მიხაილოვი.

(ბაქო).

ტრანსპორტზე მომუშავეებს ამიერ-კავკასიის მუშათა მოძრაობაში დიდი ადგილი ეჭირათ წინად და მისი მნიშვნელობა ეხლაც განსაკუთრებულია. ჩვენს დარგში ვერაა კარგად შრომის ხელფასის საკითხი. დაბალი ჯამაგირების გამო რკინის გზიდან გარბიან კვალიფიციური მუშები. ჩვენ ამას დიდი ხნიდან მივაქციეთ სათანადო ორგანოების უყურადღება, მაგრამ არაფერი გამოვიდა. რკინის გზიდან სპეციალისტ მუშების დიდი ნაწილი წავიდა.

ამხ. ძურდაძე.

ის ანარიცხები, 25 პროცენტის რაოდენობით, რომელიც ჩვენ გვეკუთვნოდა სასოფლო-სამეურნეო გადასახადებიდან, არ მოგვცა ფინანსიურ ორგანოებმა. ამან დაარუსტა მაზრის ბიუჯეტი და ჩვენ გვაქვს ისეთი მდგომარეობა, როდესაც 3—4 თვის განმავლობაში ჯამაგირები ვერ მიგვიცია მუშა-მოსამსახურეებისათვის. ცხადია, ეს თავის გავლენას ახდენს საერთო მუშაობაზე. ჩვენ გამოვარკვიეთ მაზრაში გლეხების ბიუჯეტი, რომელშაც მოგვცა ასეთი შედეგი. ღარიბი გლეხის ბიუჯეტი ოდრის—35 მანეთს, საშუალო შეძლების გლეხის—50 მან., „კულაკის“ კი—90—110 მანეთამდე აღწევს. ეს ბიუჯეტი იმდენად მც

საქართველოს კომპარტიის მეოთხე ყრილობა

კამათი ამხ. ფ. მახარაძის მოხსენებების გამო

(კამათის გაგრძელება)

ამხ. ურუშაძე

ამხანაგებო, მე ვფიქრობ, რომ მომხსენებლის სიტყვაში არ იყო ნათქვამი ყველაფერი ის, რაც აწყობს დღეს სოფლად მომუშავე ამხანაგებს. მთავარი ამოცანა ჩვენი სოფლად მუშაობისა ამჟამად, ამხანაგებო, არის სოფლის აქტივის ჩაბმა სოფლის საბჭოებში, საბჭოთა აღმშენებლობის საქმეში და ეს უნდა მოხდეს საბჭოების გამოცოცხლების საშუალებით. მეორე ამოცანა, რომელსაც უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს ამჟამად, ეს არის ჩატარება საბჭოების მორიგი არჩევნებისა ისე, რომ სრულიად დაცული იქნეს საბჭოთა დემოკრატიზმი და ამავე დროს პარტიის სწორი ხელმძღვანელობა. ეს მთავარი ამოცანაა რომლის შესახებ ჩვენ უნდა გვქონდეს მსჯელობა, როდესაც ელაპარაკობთ სოფლად მუშაობის შესახებ.

ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ სოფლად მიმქმედი ჩვენი პარტიული უჯრედები სულ სხვა უჯრედი არის ვიდრე ქალაქის. როდესაც ჩვენ ელაპარაკობთ სოფლად მუშაობის შესახებ, უნდა უსათუოდ აღვნონ-დავნონოთ თუ რამდენად მიზანშეწონილად იქრება ეს ხელმძღვანელობა საკითხი ამ უჯრედების მიერ.

მომხსენებელს უსათუოდ უნდა ეთქვა ის, რომ ზშირია ჩვენი სოფლის ცხოვრებაში ისეთი ფაქტები, როდესაც სოფლის უჯრედი ითვისებს „საბჭოების უფლებებს.

ამ შემთხვევაში საბჭოთა გამოცოცხლება ძალია. (ხმა: „თეზისები წაიკითხეთ“). მე შეიძლება თეზისები არ წამეკითხოს, მაგრამ თეზისებით არ უნდა დაკმაყოფილდეს, როცა ცოცხალი ადამიანი აკეთებს მოხსენებას. ეს, ამხანაგებო, ზშირი შემთხვევაა, როცა უჯრედი ითვისებს საბჭოთა ფუნქციებს.

ამხ. გაგუნია

ამხანაგებო, ჯერ ერთ შეკითხვაზე უნდა უპასუხო ოზურგეთის მაზრის პროკურორის თანაშემწის შესახებ.

ოზურგეთის პროკურორის თანაშემწე იყო გადაგზავნილი ცენტრალური კომიტეტის მიერ. მან თუ დანაშაული ჩაიდინა — ამისთვის სათახადო „საჩუქარიც“ მიიღო: ის იქიდან გაიძევეს — პარტიიდან გამორიცხეს. მე მგონია ამაზე ლაპარაკი ზედმეტია.

ახლა მე მინდა შევეხო ამხ. ფილიპეს მოხსენებას.

როდესაც ამხ. ფილიპე აკეთებთა მოხსენებას სოფლად მუშაობის შესახებ, მას არ დაუსვამს საკითხი კომუნისტების ყოფა-ცხოვრების შესახებ. ეს კი მე მგონია, ამხანაგებო, პრაქტიკულად დიდი სერიოზიული საკითხია და სოფლად მუშაობასთან ძალიან დაკავშირებული. მე მგონია თავის საბოლოო სიტყვაში იტყვის ამხ. ფილიპე იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიქცეს კომუნისტი ამ გლეხთან, რომელიც არის მისი მეზობელი. „პირი გლეხობისკენ“— ვეუბნებით ჩვენ ამ გლეხებს, უნდა ვიყოთ ჩაბმული გლეხების ყოფა-ცხოვრებაში, უნდა გავიზიარით მათი ჭირვარამი, და როდესაც მის მეზობელ გლეხს ვინმე მოუკვდება (წარმოიდგინეთ თქვენ ასეთი მაგალითი, უნდა მოეხმაროს კომუნისტი გლეხს კუბოს გატანის დროს, როდესაც მღვდელი მიყვება? შეიძლება ეს უბრალო საკითხი იყოს, მაგრამ პრაქტიკაში დიდ როლს თამაშობს და ამის შესახებ უნდა მოკავცეთ გარკვეული ხაზი, გარკვეული პასუხი. ასეთი მაგალითების მაგვარი შეიძლება ბევრი და მე მგონია ამხ. ფილიპე თავის საბოლოო სიტყვაში გაკვრით მაინც შეეხება ამას. (ხმა: „თქვენი აზრი როგორია“).

ლაპარაკი იყო პროკურატურის შესახებ. ამხ. ფილიპემ ხაზი გაუსვა იმ მოვლენას, რომ ჩვენში თუმცა საშინელრო კომუნიზმი არ გაგვიცდია, მაგრამ სამხედრო კომუნიზმის გაკლენა კი განვიცადეთო. მაზრებში ზშირად შეჰვდებით სამხედრო კომუნიზმის ნაშთებს. ზოგიერთ ჩვენ თანამშრომლებს აქვთ შეგნებული ეს, მაგრამ ბოლ ქმედობაში მაინც არის გაქანება სამხედრო კომუნიზმისაკენ. ეს, მე მგონია, ინერციით ხდება. სამხედრო კომუნიზმის ნაშთებს ჩვენ გამოუცხადეთ ბრძოლა, მაგრამ მაინც არის შერჩენილი ზოგ ადგილებში ის და ამის ჩენთან ერთად, პარტიასთან ერთად, აღმასკომთან ერთად -უნდა ვებრძოლოთ. მე ვერ წარმომიდგენია ისეთი პროკურორი, ისეთი აღმასკომის მდივანი ან აღმასკომის თავმჯდომარე, რომელსაც საერთო ენა ვერ გამოენახოს საჭიროების დროს.

მე დასავლეთ საქართველოში ვმუშაობ, ჩვენ ხუთი პროკურორი ვართ და არ ყოფილა შემთხვევა, რომ ყოფილიყოს რაიმე კონფლიქტი პროკურორსა და ადგილმბრივ აღმასკომების თავმჯდომარეების შორის, გარდა ერთი შემთხვევისა ლეჩხუმის მაზრაში, რომელზედაც მე შემდეგ გეტყვით. აქ უთანხმოებას ადგილი არ ქონია და, ჭგონია, არც ექნება. და თუ აღმოსავლეთ საქართველოში ამას ადგილი ჰქონდა, მაშასადამე, როგორც ეს პროკურორი, ისე თვის ადგილმბრივი ხელისუფლება არ ყოფილა თავის სიმაღლეზე თუ კი მან ეს პროკურორი, ან ვინც უნდა იყოს ვერ ჩააყენა თავის კალაპოტში.

აქ ლაპარაკი იყო პრესის ირგვლივ. ამხანაგები გამოვდიან გლეხკორებისა და მუშკორების წინაღმდეგ. ლაპარაკი იყო თითქოს გლეხკორები აბარებენ და არა ნამდვილ ფაქტებს იძლევიან. ამის ფაქტები ჩვენც გვაქვს. ჩვენი ამოცანების შესასრულებლად გლეხკორები საუკეთესო დაბმარე ძალა, რომელსაც ჩვენ უნდა დაუკავშიროთ როგორც აღმასკომი, ისე სხვა ადგილობრივი ორგანიზაციები და პროკურატურა ხოლო ჩვენ უნდა ვცნობილოთ კორესპონდენტები იმ ელემენტებისაგან, რომლებიც გლეხკორების სახელს ატარებენ და არავითარი საერთო შრომელ ხალხთან არა აქვთ.

შემდეგ ამხანაგებო, აქ ლაპარაკი იყო იმაზე, თითქოს ჩვენშიც კულაკები არ არსებობენ. ეს ყალბი შეხედულებაა. მართალია ჩვენი კულაკები ვერ შეედრებიან ციმბირის კულაკებს მაგრამ ჩვენ გვყავს „ჩვენი“ კულაკები, რომელნიც ერთნაირ საფრთხეს წარმოადგენენ საბჭოთა ხელისუფლებასთვის. ჩვენ უნდა დავირაზმოთ, შეშოვიკრიბოთ საშუალო და ღარიბი გლეხობა და ბრძოლა გამოუცხადოთ კულაკებს.

შემდეგ, ამხანაგებო, ძალიან ძნელი ტემპით მიმდინარეობს მიწის მოწყობის საქმე და ეს ბადებს ბევრს გაუგებრობას.

ეხლა გლეხკომების მუშაობაზე. გლეხკომეხს არა აქვთ სწორი დებულება; მათ არ იციან რა უნდა აკეთონ და ამიტომ ხდება ხშირად არევდარევა ფუნქციებისა. მაგალითად, გლეხკომი ითვისებს კოოპერაციის ფუნქციებს, რაც მე მგონია, სრულებით დაუშვებელია. ამ შემთხვევაში პარტიამ უნდა გამოიმუშაოს ერთი სწორი დებულება რომლის თანახმად უნდა წარიმართოს სწორი მუშაობა ამ გლეხკომებში.

ამხ. იაკობაშვილი

ამხანაგებო, ჩვენ სამი დღეა ვისმენთ ორატორების სიტყვებს, მაგრამ მე უკმაყოფილი ვრჩები იმიტომ, რომ ჩვენს მომხსენებლებს დაორატორებს ქალთა შორის მუშაობაზე ავიწყეთ ბათ ლაპარაკი (ტაში). უნდა ითქვას სიმართლე, რომ თუ ცენტრში მყოფი ამხანაგები არ უჩვენებენ მაგალითს პროვინციაში მომუშავეებს, თავის თავად ცხადია, რომ ეს უკანასკნელები არ მიაქცევენ ყურადღებას ქალთა შორის მუშაობას. ადგილობრივი ამხანაგები ამ მუშაობისაკენ გულგრილობას იჩენენ. მართალია ბევრი იყო წერილები ცეკადან, მაგრამ მიწერ-მოწერა მარტო ქალაქდაჩრჩება. თითონ თქვენ უნდა უჩვენოთ ამხანაგებს მაგალითი და ერთ-ერთ საკითხად უნდა იყოს აქ დასმული ქალთა შორის მუშაობა.

ჩვენ რომ ავიღოთ ჩვენი დღევანდელი ყრილობა, განა დამაკმაყოფილებელია ის, რომ ამდენ დელეგატებში ქალები ასე ცოტანი არიან? ეს აიხსნება რაგორც მაოლა ის დაბლა მდგომი ამხანაგების გულგრილობით. ერთი ამხანაგი ბრძანებს, რომ ცოტანი ხართ ქალები პარტიაში. მაგრამ ესეც თქვენი გულგრილობით აიხსნება, ამხანაგებო. ქალები მრავალ საუკეთესოებით ტანჯვას განიცდიდნენ, ეხლა ყურადღება უნდა მიექცეს ქალთა შორის მუშაობას და მაგალითს უნდა იძლეოდნენ მოწინავე ამხანაგები.

ამხანაგებო, უნდა მოგახსენოთ რომ, ამ ბნის განხილვაში, საქართველოს გასაბჭოებიდან დღემდე, ქალთა შორის მომუშავეებს, მეორე ოქტომბერს, გვიდგებოდა აგიტაცია და შეეძლოთ ოთ თუ ბევრთ მაინც ჩვენი მიზნები გაგვეხორციელებია-მოვამზადეთ ერთგვარად ნიადაგი. მაგრამ ცარიელი აგიტაცია საკმარისი არ არის. საჭიროა პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა და საამისო ძალები კი ჩვენ არა გვყავს.

ეს ერთ-ერთ ... ...

მუშათა ცხოვრება

მუშათა კრედიტის შესახებ

როგორც ვიცით, ამჟამად პრესაში მთელი საკავშირო რესპუბლიკის მასშტაბით წარმოებს დისკუსია იმის შესახებ, თუ რა სახით უნდა სწარმოებდეს მომავალში მუშათა ნისიები. დღემდე, როგორც ვიცით, მუშა-მოსამსახურეთ ეძლეოდათ საქონელის კრედიტი მუშაკოოპიდან და სხვ. სახელმწიფო ვაჭრობის ორგანიზაციებიდან.

